ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 16 ივნისი, 2021 №107 (8636) ფასი: 60 თეთრი

მუხრანში დავით ჩუგუაშვილი მოკლეს

მისმა შვილმა თავი მოიკლა



გვ.5

გვ.5

პოლიციამ თბილისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

დაკავებულია სამი პირი

„კობახიძე იქნება „ქართული ოცნების“ მესაფლავე!“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „თუ დაიჭერენ გახარიას, დაიჭერენ კობახიძესაც“

„კობახიძემ გაანადგურა „ოცნების“ ყველა რეფორმა. ივანიშვილმა მას მეტი ნება დართო, მიაყრევინ-მოაყრევინა ყველა პარტია კოალიციიდან. კვირიკაშვილი გააშვებინა. ნაციონალური მოძრაობაც კი შეიყვანა კობახიძემ პარლამენტში. ივანიშვილის თვალში ის წარმატებულია, თუმცა ძალიან ბევრი პრობლემაც დააგროვა“

„20 ივნისი არ მართლდება“

გვ.3

ნინო გოგუაძე: „ბიძინა ივანიშვილი გახარიას სპეციალურად დაესხა თავს“

გვ.4

„გახარია რუსეთის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ დგამს“

მირიან მირიანაშვილი: „მელიამ და მისმა თანაპარტიელებმა გამოაცხადონ, ვისი მიწვევით იმყოფებიან აშშ-ში“

„ივანიშვილის გარეშე 20 ივნისის სპეცოპერაცია ვერ ჩატარდებოდა“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „კობახიძე ივანიშვილისა და ჩემს გაწყობილ სუფრაზე მოვიდა“

არჩილ თალაკვაძე: „გიორგი გახარია ნამდვილად არ არის „ქართული ოცნების“ პროექტი“

გვ.2

ISSN 1987-9385

5 წყალტუბოში ქალებმა სასტუმრო „არგო“ დაარბიეს და მეპატრონე ცემეს

5 ოჯახებიდან სილარიბის გამო გაყვანილ 3 ბავშვს მოსამართლე დავით წერეთელმა 35.000 ლარი მიაკუთვნა

5 ბოლნისში ქმარმა ცოლი გონების დაკარგვამდე ცემა
ქალი კლინიკაში გარდაიცვალა

6 ისრაელში პირბადეების გარეშე სიარული დახურულ სივრცეებშიც ნებადართული იქნება

„კობახიძე იქნება „ქართული ოცნების“ მესაფლავე!“

პაატა ზაქარეიშვილი: „თუ დაიჭერენ გახარიას, დაიჭერენ კობახიძესაც“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორია თქვენი შეფასებები ირაკლი კობახიძის განცხადებებზე? გახარიას „ოცნება“ აქტიურად უტევს. რა ხდება, მიზანმიმართულად აპიარებენ გახარიას თუ დაპატიმრებას უპირებენ?

– რომ დააპატიმრონ, ამით გახარიას უფრო მეტ ქულას შესძენენ. ეს მათთვის კატასტროფა იქნება, თორემ დიდი სიხარულით დაპატიმრებდნენ. კარგად ხვდებიან, რომ ეს არ არის ის, რაც მათ სჭირდებათ. ამიტომ მაქსიმალურად შავ პიარს უგორებენ. მე ასე ვთვლი.

– ბევრისთვის მოულოდნელი იყო კობახიძის „მთავარში“ გამოჩენა.

– გახარიას ამომრჩეველი ახლა „მთავარს“ უყურებს და არა „იმედს“. „იმედს“ უყურებს „ოცნების“ ამომრჩეველი. მას შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, იარონ ოპოზიციურ არხებზე, რაც გახარიამ ჩაატარა ყრილობა. გადაწყვიტეს, ოპოზიციური არხებიდან დაარტყან გახარიას.

– რა შთაბეჭდილება დაგრჩათ კობახიძის განცხადებებიდან? ბევრი თვლის, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილმა შეუკვეთა, რადგან ანტიპიარი არის პიარი. თქვენ რას იტყვით?

– რა თქმა უნდა, ანტიპიარი პიარია. ამაში ორი აზრი არ არსებობს!

– მერედა, ამას ვერ ხვდება კობახიძე, თუკი რეალურად ურტყამს გახარიას?

– სხვა გამოსავალი არა აქვთ მაგათ. ან უნდა გაჩუმდნენ და აღიარონ გახარიას სიმართლე და ამით დაკარგონ მეტი. დღეს ისინი ისტერიკაში არიან. ისტერიკაში მყოფი ადამიანი, მოგეხსენებათ, არ იღებს სწორ გადაწყვეტილებებს. ნებისმიერი ნაბიჯი მათ წინააღმდეგ მუშაობს ახლა, თუმცა, თუ არ დაარტყამენ გახარიას, გახარია მეტ ქულებს აიღებს. ამ დარტყმებით შეიძლება რეიტინგი დაუწიონ, მაგრამ კარგად უნდა მოზომონ. თუ მის დაპატიმრებას მოინდომებენ, პირიქით, ქულებს აუწევენ.

– დაპატიმრება ახსენეთ და ისეთ განცხადებებს აკეთებს ირაკლი კობახიძე, რომ წესით სისხლის სამართლის დანაშაულზეა საუბარი და საქმის აღძვრის საჭიროებაც დგება. კობახიძის განცხადებები გამოძიების საგანი ხომ გახდება?

– კი, ხდება, მაგრამ ჩვენთან ასე ხომ არ მუშაობს გამოძიება. თუ გახარია გახდება პასუხისმგებელი, პასუხისმგებელი გახდება კობახიძეც. 20 ივნისს სწორედ ის გადადგა. ამიტომ მან თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. დღეს გახარია არის ამ არჩევნების დავითგარეჯი. როგორც კი დასრულდა საპარლამენტო არჩევნები, გარეჯის თემა ყველამ დაივიწყა. ახლა ილაპარაკებენ, გახარია დამნაშავეა თუ არა და ასე მივლენ ამ არჩევნებამდე. მერე კი გახარია დაავიწყდებათ. მე არა მგონია, სისხლის სამართლის საქმე აღძრან, მაგრამ აქამდე მივა საქმე. მუდმივად ილაპარაკებენ ამაზე და საზოგადოებაში შექმნინან განცდას, გახარია უბრალოდ ოპონენტი კი არ არის, კრიმინალია. მერე კი დაივიწყებენ. დღეს ვინმე ლაპარაკობს კიდევ გარეჯზე?!

– „ქართულ ოცნებას“ რაც პრობლემები დაუგროვდა, ყველაფერი უკავშირდებოდა გახარიას მიერ დაგეგმილ სპეცოპერაციებსო.

– მათ ძალიან კარგად იციან, რომ ბოდავენ! მათ იმედი აქვთ, რომ ეს ბოდვა ვიღაცებზე გავლენას მოახდენს.

– ანუ ყველაფერი გახარიას ბრალი ყოფილა. არ მუშაობდა არც ერთი უწყება, არც ერთი ძალოვანი სამინისტრო და ყველაფერს ერთი გახარია წყვეტდა?

– მათ ძალიან კარგად იციან, რომ გახარიას ბრალი არ არის. მათ უნდათ, საზოგადოებაში შეიტანონ განცდა, რომ ასეა. მათი ბოდვები მცირე ნაწილმაც რომ დაიჯეროს, ეს საკმარისია. დღეს მათი მთავარი ამოცანაა არა გახარიას ჩაძირვა, არამედ 43%-ის აღება. გახარია ბევრს ვერ წაიღებს, გასწი-გამოსწიე წაიღოს 5-დან 8%-მდე. გახარია ვერავის ვერ დააზიანებს, გარდა „ქართული ოცნებისა“. 3-4%-ც რომ დააკლდეს „ოცნებას“, ეს მათთვის დამღუპველი იქნება. ამიტომ მე არ მესმის იმ ოპოზიციის, რომელიც ასე გამეტებით ურტყამს გახარიას. დღეს სწორედ გახარია ანგრევს ყველაზე მეტად „ქართულ ოცნებას“. ვერც ერთი ოპოზიცია ვერ დაანგრევს ისე, როგორც გახარია. ამიტომ ახლა დადუმდნენ და მხოლოდ არჩევნების შემდეგ დაარტყან გახარიას. დღეს გახარია მართლაც კარგ საქმეს აკეთებს, მთელი ოპოზიციის საქმეს.

„კობახიძემ გაანადგურა „ოცნების“ ყველა რეფორმა. ივანიშვილმა მას მეტი ნება დართო, მიაყრევინ-მოაყრევინა ყველა პარტია კოალიციიდან. კვირიკაშვილი გააშვებინა. ნაციონალური მოძრაობაც კი შეიყვანა კობახიძემ პარლამენტში. ივანიშვილის თვალში ის წარმატებულია, თუმცა ძალიან ბევრი პრობლემაც დააგროვა“

– დასავლეთიც ხომ არ ამყარებს იმედებს გახარიაზე? რით ახსნით მის ვიზიტს ბრიუსელში?

– კი ბატონო, ის ხვდება ყველა დიპლომატს, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს შეხვდა.

– ეს რა გეუბნებათ?

– ჯერ ერთი, იმათ აინტერესებთ, ვინ არის გახარია და მეორეც, გახარია ამით ძალიან სწორად თვლის, რომ ის არის სერიოზული პოლიტიკოსი და დასავლეთი მას ანგარიშს უწევს. დღეს გახარიას უფრო სჭირდება დასავლეთის მხარდაჭერა, ვიდრე დასავლეთს გახარია. ეს ხდება საარჩევნოდ, თორემ ჩუმად შეხვდებოდნენ, არც ეს იქნებოდა პრობლემა. დღეს გახარიას სჭირდება საჯარო შეხვედრები, რომ საზოგადოებას აჩვენოს, მას ხვდებიან და ანგარიშს უწევენ დასავლეთში, რომ ის არ არის პრორუსული ვარიანტი და არის დასავლური ვარიანტი. ეს არის აბსოლუტურად ბუნებრივი პროცესი, რასაც გახარია აკეთებს. გახარია აყალიბებს პარტიას. „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებით მივესალმები გახარიას ქმედებებს, მაგრამ თვითონ პარტია არ უვარგა არაფრად.

– რატომ?

– მის პარტიაში ძირითადად არიან პოლიციელები და უსაფრთხოების ხალხი. პოლიტიკოსები არ არიან. ამიტომ მე ვერ ვხედავ გახარიას მომავალს ამ მიმართულებით, ხოლო რასაც დღეს აკეთებს, აცლის საყრდენს „ქართულ ოცნებას“, ეს მშვენიერია.

– იქნებ დიდად არ აინტერესებს ადგილობრივი არჩევნები და 2024-ს უმიზნებს? მანამდე პარტიასაც გაამრავალფეროვნებს?

– ეს ძალიან კარგი ვარიანტი იქნება, მაგრამ, მან თუ არ გაიარა ადგილობრივი არჩევნები, ისე წარმატებით ვერ წავა 2024-სკენ. თუნდაც წააგოს და მცირე შედეგი აიღოს, დღეს მისთვის ყველა შედეგი შედეგია. მეც ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ გახარია უმიზნებს 2024-ის საპარლამენტო არჩევნებს, თუმცა ეს ეტაპიც უნდა გაიაროს. თუ „ქართული ოცნებიდან“ ხმები წამოვიდა, ეს ხმები ძირითადად წავა გახარიასკენ.

– დღეს „ქართული ოცნების“ ლიდერებიდან კობახიძეა წინა პლანზე. ეს მიზანმიმართული პროცესი ხომ არ არის, რომ მან მიიღოს ყველა დარტყმა?

– იმიტომ არის წინა პლანზე, რომ კობახიძე ბევრ პროცესზეა პასუხისმგებელი. სწორედ კობახიძემ დაიწყო თავის დროზე ჯერ კიდევ რესპუბლიკელების ჩაძირვა. კობახიძემ ჩაძირა და გაისტუმრა კვირიკაშვილი. კობახიძე ითვლებოდა ბიძინას გუნდში, როგორც ყველაზე სანდო, საიმედო, ერთგული პირი „ქართულ ოცნებაში“. ამიტომ სწორედ ის აგებს პასუხს იმაზე, სადამდეც მივიდნენ. ივანიშვილი რომ მხარს უჭერდა კობახიძეს, მე სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა კმაყოფილი იყო კობახიძით, თუმცა მას სხვა აღარავინ დარჩა.

– კობახიძეზე დადო ფსონი?

– მან აბსოლუტურად ყველა კვერცხი ჩადო ერთ კალათში, კობახიძეში. კობახიძემ გაანადგურა ყველა მათი რეფორმა. ივანიშვილმა მას მეტი კარტბლანში მისცა, მეტი ნება დართო, მიაყრევინ-მოაყრევინა ყველა პარტია კოალიციიდან, ასევე კვირიკაშვილი გააშვებინა. ნაციონალური მოძრაობაც კი შეიყვანა კობახიძემ პარლამენტში. ივანიშვილის თვალში ის წარმატებულია, თუმცა ძალიან ბევრი პრობლემაც დააგროვა. ახლა დაავალა, მიდი და მიხედე ბოლომდე ამ გახარიას, ის როგორ გაგიძვრაო. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ივანიშვილი საკმაოდ მკაცრად ელაპარაკება კობახიძეს და აიძულებს, უფრო მეტად იყოს მოქნილი და მოძრავი. ივანიშვილს კობახიძემ შეუქმნა წარმატება და ისევ კობახიძე იქნება, რომელიც შეუქმნის პრობლემებს. სწორედ კობახიძე შეიძლება აღმოჩნდეს „ქართული ოცნების“ მესაფლავე! ეს ძალიან დამაფიქრებელი უნდა იყოს ივანიშვილისთვის, იმიტომ რომ მან ყველა ნორმალური ადამიანი მოიცილა გვერდიდან და შერჩა რაღაც კვაზი, ფეიკ „ქართული ოცნება“ კობახიძეების, მდინარაძეების, ოხანაშვილებისა და მურუსიძეების სახით, რომლებმაც, შესაძლოა, ჩამოაქციონ და დაანგრიონ მთელი „ქართული ოცნება“.

– ანუ დღეს კობახიძის ხელშია „ოცნების“ ბედი? მას შეუძლია, ააშენოს და დააქციოს კიდეც?

– კი, კობახიძის ხელშია, თუმცა კობახიძის თამაშები აბსოლუტურად არ ეხება კალაძეს. ის სრულიად დამოუკიდებელი ფიგურაა. „ოცნება“ თუ ჩამოიშალა, კალაძე მაინც დარჩება ცალკე პატარა კუნძულივით. კალაძე ძალიან ჭკვიანურად მუშაობს. ის არც ებრძვის „ოცნებას“ და არც აშენებს. ის მომავალზე ფიქრობს. მართალია, პარადი კობახიძეს მიჰყავს, მაგრამ „ოცნებაში“ ყველაზე ძლიერი ფიგურა კალაძეა.

არჩილ თალაკვაძე: „გიორგი გახარია ნამდვილად არ არის „ქართული ოცნების“ პროექტი“

პარლამენტის ვიცესპიკერ არჩილ თალაკვაძის განცხადებით, საზოგადოებაში კითხვები აღარ უნდა იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია დღეს ნამდვილად ოპოზიციაშია და ის „ქართული ოცნების“ პროექტი არასდროს ყოფილა.

როგორც მან „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ აღნიშნა, მმართველი გუნდი ყოველთვის ცდილობდა, ყოფილი თანაგუნდელის მიმართ კრიტიკული განცხადებები არ გაეკეთებინა.

თუმცა, მისი შეფასებით, გიორგი გახარიას გადაწყვეტილება ხელისუფლებისთვის ნამდვილად მიუღებელი და გაუგებარია.

– როდესაც გიორგი გახარია გუნდიდან წავიდა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა, ვერ გამახსენებთ მთელი იმ პერიოდის განმავლობაში ერთ განცხადებას მაინც, რომელიც ეთიკის ან წარსული თანამშრომლობის, მეგობრობისა თუ თანაგუნდელობის წინააღმდეგ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“. თუ ვინმე დიპლომატიური იყო და იცავდა თამაშის წესებს, რაც მეგობრობასა და გუნდში არსებობს, პირველ რიგში, ამას „ქართული ოცნება“ აკეთებდა. საზოგადოებას ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან განაპირობებს გიორგი გახარიას მიერ შექმნილი პოლიტიკური პარტიის შედეგს და საერთოდ პოლიტიკური პროცესის ამ ნაწილს მომავალში, რადგან ამ წესებს ჩვენ ვიცავდით, ის „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი იყო, ჩვენი თანაგუნდელი, ჩვენ ერთად გამოვიარეთ ეს წლები.

ჩვენი მორალური სტანდარტი და მოვალეობა იყო, არ გაგვეკეთებინა ასეთი განცხადებები და არც გაგვიკეთებია, მაგრამ, როდესაც უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ ხალხსაც და ოპოზიციასაც გაუჩნდა ერთი ძალიან სერიოზული შეკითხვა, არის თუ არა გიორგი გახარია „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის პროექტი, არის თუ არა ეს ყველაფერი ხელოვნური და ამას სათანადო პასუხები არ გაეცა სათანადო დამაჯერებლობით, ეს ჭორები და შექმნილი აღქმა არ განეიტრალდა, ამის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ამომწურავი განმარტება და ხალხს აუხსნა, რომ გიორგი გახარია არ არის „ქართული ოცნების“ ან ბიძინა ივანიშვილის პროექტი, – განაცხადა თალაკვაძემ.

მისი განმარტებით, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ ირაკლი კობახიძის განცხადების მიზანია ის, რომ გაიფანტოს საზოგადოებაში არსებული ყველა კითხვა, რომლებიც გიორგი გახარიას მიერ თანამდებობისა და გუნდის დატოვებას უკავშირდება.

როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ „ამომრჩეველი, განსაკუთრებით ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ვინმემ შეცდომაში შეიყვანოს“.

– რეალობა არის ის, რომ გიორგი გახარიამ, როგორც პრემიერ-მინისტრმა, იმ მომენტში მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც გუნდისთვის არ იყო მისაღები, ძალიან რთულ მომენტში დატოვა გუნდი და პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. სწორედ ამაზე საუბრობს ირაკლი კობახიძე „ქართული ოცნების“ სახელით, მთელი ამ 10 დღის განმავლობაში მას მოუწია აეხსნა ხალხისთვის კიდევ უფრო დეტალურად, რატომ არ არის გიორგი გახარია „ქართული ოცნების“ პროექტი. დღეს რეალობა არის ის, რომ გიორგი გახარია არის ნამდვილად ოპოზიციაში. მას აქვს ახლადშექმნილი ოპოზიციური პარტია, ძალიან სერიოზულ კონკურენციაშია ოპოზიციურ პარტიებს შორის.

ის მოლოდინები, რომლებიც ჰქონდათ მის გარშემომყოფ ადამიანებს პირველ დღეებში, ვფიქრობ, დღეს ცოტა დაკორექტირებულია. სხვა მოცემულობა გვქონდა, როდესაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ნაწილსაც კი ეგონა, რომ ის იყო „ქართული ოცნების“ ალტერნატიული პროექტი, ჩვენივე დაგეგმილი იყო ეს ყველაფერი და დღევანდელი რეალობა.

მთელმა საზოგადოებამ ნათლად გაიგო, რომ რაც მოხდა, მართლაც მოხდა და ის გადაწყვეტილება, რომელიც გიორგი გახარიამ მიიღო, ჩვენთვის ნამდვილად მიუღებელი და გაუგებარი იყო, – განაცხადა თალაკვაძემ.

წამყვანის კითხვაზე, რამდენად ძლიერი კონკურენტია გიორგი გახარია „ქართული ოცნებისთვის“, არჩილ თალაკვაძემ უპასუხა, რომ მასთან ჯერ ოპოზიციის რანგში ოპონირების საშუალება არ ჰქონია, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლება ამისთვის მზად არის.

– ჩვენ ჯერჯერობით მასთან ოპონირების შესაძლებლობა არ გვქონია, პარლამენტში ის მოდიოდა, როგორც ჩვენი გუნდის წევრი, ჩვენ გვქონდა საქმიანი კითხვები, მაგრამ მას მაღალი მხარდაჭერა ჰქონდა, როგორც პრემიერ-მინისტრს. მომავალში, თუ მისი პარტია შეძლებს, სხვა ოპოზიციურ პარტიებს აჯობოს და მეტი მხარდაჭერა მიიღოს, ვნახოთ, რა ოპონირება და ფორმატები მოგვიწევს. არა მხოლოდ მის, არამედ უფრო დიდ პარტიებთანაც, ცალ-ცალკე თუ ერთად, „ქართული ოცნება“ მზად არის ოპონირებისთვის, – განაცხადა თალაკვაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„20 ივნისი არ მართლდება“

ნინო გოგუაძე: „ბიძინა ივანიშვილი გახარიას სპეციალურად დაესხა თავს“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ „მთავარი“ არხისთვის მიცემულ ინტერვიუში ყოფილი პრემიერისა და თანაგუნდელის გიორგი გახარიას მისამართით არაერთი ბრალდება გააჟღერა.

კობახიძის აზრით, გახარიამ 20 ივნისის სპეცოპერაცია არასწორად დაგეგმა, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგები. უფრო მეტიც, კობახიძე მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება და აცხადებს, რომ მისი გადადგომაც მომწიფებული იყო, თუმცა რაღაცამ შეუშალათ ხელი. ის კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ გახარიას სხვა სპეცოპერაციებიც არასწორად ჰქონდა დაგეგმილი.

როგორ უნდა გავიგოთ კობახიძის განცხადება – აღიარებად თუ ბრალდებად? მოსალოდნელია გახარიას დაჭერა თუ ესეც ბიძინა ივანიშვილის თამაშის ნაწილია და შემთხვევითია თუ არა გახარიას ბრიუსელში გამგზავრება კობახიძის ბრალდებების მერე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კოალიცია „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პოლიტიკოსი ნინო გოგუაძე საუბრობს.

ნინო გოგუაძე:

– მართალი გითხრათ, მთავარი განცხადება გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა, ადამიანმა, რომლის სიტყვასაც ფასი არ აქვს, რომელმაც სამჯერ გვითხრა, წავედი პოლიტიკიდან, განცხადებასაც კი არ გავაკეთებო და გააკეთა განცხადება, გიორგი გახარია ჩემი პროექტი არ არისო, ანუ ამ ადამიანის სიტყვას ფასი არ აქვს და არაერთი ტყუილი უთქვამს ჩვენთვის, მოქალაქეებისთვის, დაპირებებიდან დაწყებული და თავისივე თანამებრძოლების საშინელ ქმედებებში დადანაშაულებით გაგრძელებული. ახლა გვეუბნება, გახარია ჩვენი პროექტი არ არისო.

ირაკლი კობახიძის აქამდე გაკეთებული განცხადებებიც და „მთავარი არხის“ ეთერში გაკეთებული მისი განცხადებებიც შემუშავებული მესიჯებია ივანიშვილთან ერთად. გახარიაზე თავდასხმა ხდება იმ მიზნით, რომ „ოცნების“ ამომრჩეველსაც და ოპოზიციის ამომრჩეველსაც დაუმტკიცონ, რომ გახარია ნამდვილი ოპოზიციონერია, რომელმაც გუნდსა და სახელმწიფოს უღალატა. სინამდვილეში, ისინი ყველანი ბიძინა ივანიშვილის ინსტრუმენტები არიან. გახარიაც, კობახიძეც, მურუსიძეც, შოთაძეც და ყველა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის ინსტრუმენტია.

– გახარია დღესაც ივანიშვილის ინსტრუმენტია?

– ყოველ შემთხვევაში, გუშინ ხომ იყო ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის განსახორციელებლად?! ყველა ის დანაშაული, რომლებსაც ერთმანეთს აბრალებენ კობახიძე და გახარია, გახარია ჯერ ნაკლებად აბრალებს, მაგრამ კობახიძე ხომ აბრალებს?! მათ ერთად ჩაიდინეს, როგორც ივანიშვილის არაფორმალური ძალაუფლების გუნდმა. როდესაც გახარია უხილავ ხელზე გველაპარაკება და არ ასახელებს, დიახ, ამ უხილავი ხელით იმართებოდა ქვეყანა მაშინ, როდესაც ის იყო პრემიერ-მინისტრი.

20 ივნისი კობახიძისთვის უკვე გახდა დანაშაული, არადა, ჩვენ ამას ვამბობდით თავიდანვე. ჯერ ერთი, ამნისტიით ამ საქმეზე მოხსნილია ყველა დანაშაული და სისხლისსამართლებრივი საქმე ვეღარ აღიძრება. ახლა შეუძლიათ, ერთმანეთს, რაც უნდათ, ის აბრალონ.

– ანუ გახარიას წინააღმდეგ საქმეს ვეღარ აღძრავენ?

– ვერა, 20 ივნისთან დაკავშირებით ვერ აღძრავენ. გიორგი გახარიამ რომც დაადანაშაულოს კობახიძე, გომელაური თუ ჩუბინიძე, ამ საქმეზე ვეღარ აღძრავენ. ყველა მოძალადე პოლიციელი თუ ყველა ბრძანების გამცემი ამნისტირებულია.

– კავშირს ხედავთ ამ ორ მოვლენას – ამნისტიის კანონის მიღებასა და ახლანდელ განცხადებებს შორის?

– დიახ, ვხედავ. ორივეს, კობახიძესაც და გახარიასაც, მეტი რიხით შეუძლიათ ლაპარაკი, რადგან ამნისტიის კანონით ყველაფერი ამნისტირებულია. დიახ, აქამდე ასეთი რიხით არ ლაპარაკობდნენ. გახარია პირველი გამოჩენისას უტიფრად გვესხმოდა თავს, რომ ეს იყო შტურმი სახელმწიფო ინსტიტუტზე, მარტომ გადავიტანე ეს ბრძოლა და შტურმის მონაწილეები არ უნდა იყვნენ ამნისტირებულებიო. ასე არ იქცევიან, როდესაც საკუთარ მოქალაქეებს ასეთი სისასტიკით უსწორდება პოლიცია, როგორც ეს 20 ივნისის ღამეს მოხდა.

მეორე, კობახიძემ დაიწყო ოპერაციის არასწორ დაგეგმვაზე საუბარი, რასაც ჩვენ, ოპოზიციონერები, მეორე დღიდანვე ვამბობდით, რომ რა უნდოდა სპეცრაზმს გარეთ, როდესაც ცნობილი მოვლენების გამო აღშფოთებული ხალხი იყო. ამ დროს როგორ შეიძლებოდა მისი დაგეგმვა იმგვარად, რომ აღელვებულ ხალხსა და სპეცრაზმს შორის შეხების საშუალება ყოფილიყო?! ამაზე დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ ისინი ერთნი არიან ამ დანაშაულში, რაც შეეხება 20 ივნისს. ერთნი არიან იმ ეკონომიკურ კოლაფსშიც, რომელმაც ჩვენი მოქალაქეები უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა. ისინი ერთად აგებენ პასუხს, როგორც ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების განუყოფელი ნაწილები.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის ამ თავდასხმას, მე ძალიან კარგად ვიცი მისი მეთოდები. ბიძინა ივანიშვილი სპეციალურად დაესხა თავს გახარიას იმის გამო, რომ ის გადმოაგდოს ოპოზიციის მოედანზე. რაც მეტს ვილაპარაკებთ გახარია-„ოცნების“ დაპირისპირებაზე, მით მეტად ვაძლიერებთ გახარიას ფიგურას. ამით ვილაპარაკებთ „ოცნებაში“ მიმდინარე მოვლენებზე, მაგრამ ყურადღების მიღმა რჩება რეალური პრობლემები. დიახ, ბიძინა ივანიშვილი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი სიმძაფრით შეუტიოს „ქართულმა ოცნებამ“ გიორგი გახარიას, რათა ეს იყოს მთავარი თემა და მთელი პოლიტიკური დღის წესრიგი გახარია-კობახიძის დაპირისპირებაზე აეწყოს. ეს არის მისი ტაქტიკა. დამერწმუნეთ, ასეა, მაქვს ამის გამოცდილება. ვისაც ახსენებს ის მუდმივად, მისი გაძლიერება უნდა.

– თუმცა მუდმივად ნაცმოძრაობას ახსენებს და მიშაზე აქვს აგებული პოლიტიკა. მისი გაძლიერებაც უნდა?

– მიშას გაძლიერება მას სჭირდებოდა სწორედ იმისთვის, რომ პოლარიზაცია მოეხდინა. ესეც მისი მართვის სისტემაა და ამიტომ ყველაფერი დაკავშირებული იყო მიშასთან. ოღონდ მიშა არ მოვიდესო და ამით ახდენდა მუდმივად ხალხის მობილიზებას. ამ არჩევნებით დაინახა, რომ ხალხის საკმაოდ დიდი რაოდენობა გადანაწილდა სხვადასხვა პარტიაზე და დიახ, მას უნდა, რომ სწორედ ეს ნიშა დაიკავოს გახარიამ. ზუსტად იცის, რომ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს მისკენ ვერ წაიყვანს, მაგრამ ე.წ. სხვა პარტიების კონსოლიდაცია უნდა გიორგი გახარიას ფიგურის გარშემო.

თავისი განცხადებით თქვა, აქ ვარ და მე მომეცით ხმაო. ამით მან მოახდინა თავისი ამომრჩევლის კონსოლიდაცია, რათა არ ჰგონებოდათ, რომ კობახიძე-ოხანაშვილის იმედად იყო დატოვებული. ის აკეთებს ყველაფერს, რომ გახარია მუდმივად იყოს ყურადღების ცენტრში, რათა ადამიანები დაიბნინენ და მათმა ნაწილმა გახარიაში მართლაც დაინახოს ნამდვილი ოპოზიციონერი. ამის ნაკლებად მჯერა, რადგან ის, ვინც ოპოზიციონერია, ვერ გაამართლებს 20 ივნისს. 20 ივნისი არ მართლდება და, რაც არ უნდა ერთმანეთს აბრალონ, გახარია ვერც ერთ იმ ოპოზიციური პარტიის ხმას ვერ მოიპოვებს, რომლებიც ანტისაოკუპაციო განწყობის არიან და რომლებმაც ნახეს, როგორ სასტიკად გაუსწორდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, მათ შორის გახარიას მეშვეობით, იქ შეკრებილ ანტისაოკუპაციო მოძრაობას.

– მიუხედავად ამ ყველაფრისა, რაზეც საუბრობთ, რომ ვერ აღიძრება საქმე, გამორიცხავთ, რომ გახარიას წინააღმდეგ აღძრან საქმე? კობახიძემ სხვა ოპერაციებიც ახსენა.

– ამ ხელისუფლებისგან არაფერს გამოვრიცხავ. გამოვრიცხავ მხოლოდ იმას, რომ 20 ივნისზე დაიწყოს საქმის ძიება. საერთოდ, უცნაურად აქვთ გამიჯნული. გახსოვთ, როდესაც გახარიას დასდეს ბრალად სახელმწიფო გადატრიალებაზე 17 თებერვლის მოვლენები და მაშინ გვითხრეს, რომ სააკაშვილთან იყო შეთქმულება, ჩანერგილები იყვნენ პოლიციელები და სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა, მერე მდინარაძემ გვითხრა, რომ ეს იყო შეფასებითი ნაწილი და თურმე უნდა ვისწავლოთ შეფასებითი ნაწილისა და სამართლებრივი პროცესების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

– კობახიძემ ბოლო ინტერვიუში ისიც თქვა, ეს ჩემი დაკვირვება იყოო.

– მერე გაასწორეს, იმიტომ, რომ მკაფიოდ მიიღეს პასუხი ჩვენგან, მათ შორის ჩემგანო. დაკვირვება რას ნიშნავს? როგორ დააკვირდა, რომ სააკაშვილთან ჰქონდა ფარული გარიგება და ჩანერგილები ჰყავდა პოლიციელები და ჯარისკაცები?!

– გახარიას ბრიუსელში წასვლა კობახიძის განცხადებების შემდეგ ნიშანდობლივი ხომ არ იყო, ანუ ხომ არ ექნება რაღაც საუბრები იქ, რომ შესაძლოა დაიჭირონ?

– მე არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა, არჩევნებამდე მას ხელი რომ მოჰკიდონ, ეს გამორიცხული მგონია. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ძიძგილაობასა და ერთმანეთის დადანაშაულებაში რეალური ბზარი გაჩნდეს და ივანიშვილის თამაში ბოლომდე ვერ შედგეს. ვნახოთ. კორუფციული თანხებიც იყო ნახსენებიო, ეს რომ თქვეს, ამასაც არ გამოვრიცხავ, რომ გვითხრან, ეს შეფასებითი ნაწილი იყო და არა სამართლებრივიო. ვნახოთ, როგორ დასჭირდება სრულიად არაკომპეტენტურ და ყველაფრის მკადრებელ ხელისუფლებას. კანონის უზენაესობაზე ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებიც კონსტიტუციის მიღმა მმართველობას ახორციელებენ. ამიტომ მათგან არაფერი გამიკვირდება. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი რამე შეიძლება გითხრათ, დაშვებას ვაკეთებ ასეთს, რომ თუ გახარია ბიძინა ივანიშვილის პროექტია, ის დაელოდება, გაუმართლებს თუ არა იმ მიზნისთვის, რისთვისაც შეიქმნა და, თუ არ გაუმართლებს, ისე გაწირავს, წარბსაც არ შეიხრის.

„ივანიშვილის გარეშე 20 ივნისის სპეცოპერაცია ვერ ჩატარდებოდა“

მურმან დუმბაძე: „კობახიძე ივანიშვილისა და ჩემს გაწყობილ სუფრაზე მოვიდა“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ირაკლი კობახიძემ გიორგი გახარია კიდევ ერთხელ დაადანაშაულა სახელმწიფო გადატრიალების თანამონაწილეობაში. თქვენი პოზიცია როგორია, რასთან გვაქვს საქმე?

– როდესაც ხელისუფლების ვადა იწურება, როდესაც მას ვადას ამომრჩეველი უმთავრებს, მისთვის შიშია დამახასიათებელი. ასე იყო „მოქალაქეთა კავშირში“, ასე იყო ნაციონალურ მოძრაობაშიც. იგივე ხდება „ქართული ოცნებაში“ და ამაში განსაკუთრებულ სიახლეს ვერ ვხედავ.

როდესაც კობახიძე ამბობს, გახარიამ 20 ივნისის სპეცოპერაცია უსუსურად ჩაატარა და ხალხის წინააღმდეგ გადაჭარბებული ძალა გამოიყენა, ამაში მას სრულიად ვეთანხმები. უბრალოდ, ერთი განსხვავებაა – დროშია აცდენა. მე ამას 2 წლის წინ ვამბობდი, ის ორი წლის შემდეგ ამბობს. ამის აღიარებისთვის კობახიძეს დასჭირდა არა მხოლოდ ორი წელი, არამედ გარემოებაც.

მოვა დრო, როდესაც კობახიძე დამიდასტურებს კიდევ ერთს – 20 ივნისის ღამეს ჩატარებული სპეცოპერაციის გამო პასუხისმგებელი პირები სისხლის სამართლის დანაშაულში მიეცემიან. თუ გახარიას ბრძანებით ჩატარდა სპეცოპერაცია, დაისჯება გახარია. თუკი ივანიშვილმა გასცა ბრძანება, დაისჯება ივანიშვილი. ძალიან მარტივია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ამ პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა.

როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ვანო მერაბიშვილმა 7 ნოემბრისა და 26 მაისის სპეცოპერაციების გამო პასუხი აგო. თუ მერაბიშვილი შვიდი წელი იჯდა ციხეში, შეიძლება ამდენი, ან მეტი, ან ნაკლები, ეს უკვე სასამართლოს გადასაწყვეტია, 20 ივნისის აქციის დაშლის ბრძანების გამცემმა პირმაც უნდა აგოს პასუხი ადამიანების დასახიჩრებისთვის. ამას კობახიძე ძალიან გვიან მიხვდა.

კობახიძე ამას მიხვდა არა გულწრფელად, არამედ ღვარძლით. გახარია შემოდის პოლიტიკაში და მისი საარჩევნო კამპანია გავა კობახიძის ამომრჩეველზე, რასაც კარგად ხვდება კობახიძე. ეს ყველაფერი ამით არის ნაკარნახევი, მეტი არაფერი.

– თქვენ ამბობთ, რომ 43%-იანი ბარიერია ამ ყველაფრის მიზეზი?

– რასაკვირველია! კობახიძეს ამ ყველაფერს შიში ალაპარაკებს. მან იცის, რომ 43%-ს ვერ გადალახავს, თუ გახარიაზე არ ილაპარაკებს იმას, რაც რეალობაა, რომ 43%-ში გახარია შეეცილება.

– გამოდის, გახარია არ ყოფილა ივანიშვილის პროექტი?

– მე ვარ ის ერთ-ერთი ადამიანი რამდენიმეს შორის, რომელიც ივანიშვილს ახლოს იცნობს. ბიძინა ივანიშვილის გარეშე 20 ივნისის სპეცოპერაცია ვერ ჩატარდებოდა. გამორიცხულია. ეს შემიძლია, ცალსახად გითხრათ.

– შეიძლება, ირაკლი კობახიძის ეს განცხადება პრევენციაც იყოს, რათა „ქართული ოცნებიდან“ კიდევ არ მოხდეს დეპუტატების გადასვლა გახარიასთან, რომ საპარლამენტო უმრავლესობა არ დაეშალოთ?

– ძალიან გვიანია. ეს პროცესი დაწყებულია და შეუძლებელია, არ გაგრძელდეს. მე ტყუილად კი არ ვახსენე „მოქალაქეთა კავშირი“. „ქართული ოცნება“ „მოქალაქეთა კავშირის“ ბედს გაიზიარებს.

როდესაც რამდენიმე თვის წინ აცხადებ, გახარიას პრემიერობის კანდიდატად კი არა, მომავალ პრემიერად ვასახელებ და მერე მასზე ამბობ, სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდა. იქ უკვე ყველაფერი დამთავრებულია, ვერ იმუშავებს. საქართველოს მოქალაქეები ასეთი გულუბრყვილოები არ არიან.

– მაშინ რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს?

– გამოუცდელი კაცია. პოლიტიკაში ახალბედაა. კობახიძე ივანიშვილისა და ჩემს გაწყობილ სუფრაზე მოვიდა. ის ახლა აკეთებს იმ განცხადებას, რომელიც მხოლოდ ივანიშვილს ესიამოვნება. ამ განცხადებებით ის ვერც საქართველოს მოქალაქეებზე მოახდენს გავლენას და ვერც ვერავისზე.

კობახიძე მინდა დავამშვიდო, ნუ ნერვიულობს. გახარია ვერ მოიპოვებს ძალიან ბევრ ხმას. გახარიას პროცენტული მაჩვენებელი იქნება დაახლოებით იმდენი, რამდენიც აიღო „ლელომ“, „სტრატეგია – აღმაშენებელმა“. თითქოს ახლა გახარია უნდა გვაწყობდეს ოპოზიციურ ფლანგზე, მაგრამ ჩვენ გახარიას გარეშეც დავამარცხებთ „ქართულ ოცნებას“. გახარიას აქვს პოლიტიკაში ყოფნის უფლება, მაგრამ, რასაც ვფიქრობდი მასზე ორი წლის წინ და ვამბობდი, ახლაც ზუსტად იმავეს ვფიქრობ და ვამბობ. პატარა პარტიების ამბიცია პარლამენტში შესვლაა, დიდი პარტიების კი – გლობალური ცვლილებები. გახარია ქმნის პარტიას იმისთვის, რომ თავი დაიცვას. ის მხოლოდ 3%-ს აიღებს, მეტს ვერა.

– ბატონო მურმან, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, სააკაშვილი თურქეთში იყო ჩასული და ბათუმიდან აპირებდა შემოსვლას?

– არა, მე ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. მე მაქვს მასთან ხშირი ურთიერთობა და ასეთი რამ არც უფიქრია. თურქეთიდან თუ აპირებდა შემოსვლას, მინიმუმ მე მაინც მეცოდინებოდა, აქვე ვცხოვრობ თურქეთთან. თუ მიხეილ სააკაშვილი დააპირებს ჩამოსვლას, ამის შესახებ წინასწარ ეცოდინება ყველას.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„გახარია რუსეთის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ დგამს“

მირიან მირიანაშვილი: „მელიამ და მისმა თანაპარტიელებმა გამოაცხადონ, ვისი მიწვევით იმყოფებიან აშშ-ში“

მარიამ მჭედლიშვილი

ვინ აღვივებს ევროატლანტიკურ სკეპტიციზმს საქართველოში? რას ემსახურებოდა ბიძინა ივანიშვილის გახმაურებული და ბევრისთვის გაუგებარი წერილი? რა იყო დაგეგმილი გაზაფხულზე და რა უნდა დაადგინოს გამოძიებამ? რატომ ვერ იქნება საქართველო რუსეთისთვის პრიორიტეტი და რატომ მოუწევს კრემლს დათმობაზე წასვლა? როდის შეიძლება, კიდევ ერთხელ გაიბრძოლოს აქ რუსეთმა? რა განსხვავებაა ევროპის წამყვან სახელმწიფოებისა და აშშ-ის შეფასებებში? რატომ არ არის სერიოზული ნიკა მელიასა და მისი თანაპარტიელების ვიზიტი აშშ-ში? — ამ და სხვა აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ მირიან მირიანაშვილს.

„რუსულ რევოლუციას ამერიკის ელჩმა გადაგვარჩინა“

– ნატოს ბოლო სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში დადასტურებულია, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ამის მიუხედავად, საქართველოში მაინც გააქტიურდნენ ევროატლანტიკური სკეპტიკოსები, რომლებიც განგაშს ტეხენ იმის გამო, რომ სამიტზე არ მიიწვიეს პარტნიორები – საქართველო და უკრაინა და მათი გაწევრიანების თარიღიც ბუნდოვანია.

– პარტნიორი და კანდიდატი ქვეყნების ნატოს სამიტზე მიწვევა-მიუწვევლობა გავლენას არ ახდენს გადაწყვეტილებებზე. ის, რომ საქართველო სამიტზე არ იმყოფებოდა, არაფერს ცვლის. სკეპტიციზმი ნატოს თაობაზე ახალი არ არის. საქართველოში სკეპტიციზმს აღვივებენ ისინი, ვისაც შესაბამისი დავალება აქვს მიღებული. არმიწვევის მიზეზი იყო ბაიდენ-პუტინის მოსალოდნელი შეხვედრა. მხარეებს შორის ისედაც დაძაბულობაა. არ უნდოდათ ვითარების გამძაფრება ამ დიალოგის წინ.

– სკეპტიციზმი რუსეთის დავალებით ღვივდება?

– აბა, სხვა ვის უნდა უნდოდეს პესიმიზმის დანერგვა და ხალხის იმედგაცრუება, დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაცია?!

– ბოლო ინტერვიუში თქვენ გვითხარით, რომ ბიძინა ივანიშვილს დიდი სურვილი აქვს, ინტერვიუ მისცეს რომელიმე დასავლურ მედიას, სადაც ის იტყვის, რომ არ ერევა პოლიტიკურ პროცესებში. ისიც აღნიშნეთ, რომ თუ ინტერვიუ არ გამოვიდა, პუბლიკაციას გაავრცელებს. ამ ინტერვიუდან სამ დღეში ბიძინა ივანიშვილმა გამოაქვეყნა თავისი გახმაურებული წერილი, რომლის შინაარსი და მიზანი ბევრმა ვერ გაიგო. რას იტყვით? ეს წერილი შიდამოხმარებაზე არ იყო გათვლილი?

– სწორედ ასეა. მოსახლეობის მანიპულაცია, ხალხზე ზემოქმედება სხვა ხერხებით ხდება. ამისთვის წერილი საჭირო არ არის. ბიძინა ივანიშვილს უნდოდა საერთაშორისო ყურადღების მიპყრობა. ის ასეთ მეთოდებს იშვიათად მიმართავს, იმიტომ რომ ერიდება რუსეთის გაღიზიანებას. რუსეთი ასეთ ნაბიჯებს აღიქვამს რევერანსებად დასავლეთის მიმართ. წერილი დაიწერა იმ დროს, როცა შექმნილია რუსეთისათვის თვალშისაცემად წამგებიანი სიტუაცია. ორი-სამი წლის წინ ვამბობდი, რომ დგება რუსეთისათვის არასახარბიელო ხანა. ეს არის საქართველოს ხსნა. ასეთი კუთხეში მომწყვდეული რუსეთი არ ყოფილა 230 წლის განმავლობაში.

– რა გამოხატა ამ წერილით ბიძინა ივანიშვილმა?

– მას აწუხებს საკუთარი პოლიტიკური მომავალი. ბიძინა ივანიშვილი ამერიკულ ელიტას ამაზე შეკითხვებს უსვამს. იმედი ჰქონდა, რომ პასუხებს კულუარულად, კარგა ხნის წინ მიიღებდა, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა. ვიცოდი, რის თქმა უნდოდა ივანიშვილს და წერილზე ინტერვიუში წინასწარ გითხარით.

– წერილმა ეფექტი თუ იქონია?

– ჯერჯერობით არა. დაველოდოთ, რით დამთავრდება ბაიდენ-პუტინის შეხვედრა. რუსეთი მძიმე მდგომარეობაშია ჩაყენებული. მისთვის გავლენა საქართველოზე მთავარი არ არის. მოსკოვი დგას იზოლაციისა და სრული ეკონომიკური ნგრევის საფრთხის ქვეშ.

– იზოლაციაც ემუქრება?

– იზოლაცია კორონავირუსიდან გამომდინარე ემუქრება. რუსული „სპუტნიკ 5“, ასევე სხვა რუსული ვაქცინები არაა ავტორიზებული და მიღებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. რუსეთის მოსახლეობა იკეთებს იმუნიზაციას, მაგრამ – არაღიარებული ვაქცინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის აცრილ მოქალაქეებსაც კი არ შეუშვებენ სხვა სახელმწიფოებში. მათ არ ექნებათ „მწვანე პასპორტები“. ამ სანიტარიულ-პოლიტიკური საზრუნავის გარდა, კრემლს აფორიაქებს სანქციების შესაძლო დამატება და გამკაცრება. ეს თუ მოხდა, რუსეთის ეკონომიკა სულ ჩამოიქცევა.

– ამ პირობებში რუსეთს საქართველოსთვის ნაკლებად სცალია?

– ეს სწორი გამონათქვამი არ იქნებოდა. არ სცალია კი არა, სხვა პრიორიტეტები და საზრუნავი აქვს. საქართველო მთავარი საკითხი არ არის. რუსეთს აწუხებს საკუთარი პოლიტიკური და სანიტარიული პერსპექტივა.

– ინტერვიუში „ახალ თაობასთან“ გითქვამთ, რომ გაზაფხულზე საქართველოში რუსეთში დაწერილი გეგმით უნდა მომხდარიყო რევოლუცია გახარიასა და ნაციონალების მონაწილეობით. რევოლუცია თავიდან აგვაცილა აშშ-ის ელჩმა. ირაკლი კობახიძემაც გააკეთა განცხადება საგაზაფხულო შეთქმულებაზე გახარიასა და სააკაშვილის გარიგებით. კობახიძის სიტყვებს ბევრი ზღაპრად მიიჩნევს.

– კობახიძე შეკუმშულად ლაპარაკობს. „ზუმის“ რეჟიმში ბევრ კონფერენციასა და შეხვედრას ვატარებ და ჯერ კიდევ თებერვალში ვლაპარაკობდი ამ რევოლუციურ სცენარზე. თებერვლიდან მოყოლებული, გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო საშემოდგომო არშემდგარი რევოლუციის ახალი რედაქცია. მთავარი ის არ არის, დაელაპარაკნენ თუ არა ერთმანეთს გახარია და სააკაშვილი. დანამდვილებით იგეგმებოდა გახარიას 18 თანაგუნდელის გამოსვლა პარლამენტის უმრავლესობიდან. როგორც იცით, საბოლოოდ, 6 ადამიანი გამოვიდა უმრავლესობიდან. უმრავლესობა იშლებოდა, იქმნებოდა ხელოვნური კრიზისი და რევოლუციური სიტუაცია. ამის პარალელურად „დაჩაგრული მელიას“ დასაცავად განზრახული იყო დაქირავებულების გამოყვანა ქუჩებში. გახარია რუსეთის გარეშე ერთ ნაბიჯს არ დგამს. ეს ფაქტია. პირადად მე მაქვს ინფორმაცია ამ სცენარში რუსეთის ჩართულობის შესახებ. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რა დონეზე იყო ჩართული რუსეთი საგაზაფხულო რევოლუციურ სცენარში, რომელიც საქართველოს აშშ-ის ელჩმა აიცილა. გამოძიებამ გაარკვიოს, ვინ ვის აძლევდა მითითებებს.

– გახარიას ზოგიერთი ექსპერტი პროდასავლელ ლიდერად თვლის.

– ეგ ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ გიორგი გახარიას საამაყო „სივი“ მამამისმა მიატანა უწყებებში. იმასაც გაიძახიან, რომ თვითონ მიჰყვნენ ბიზნესომბუდსმენის ოფისში. ეს ხომ ცინიზმია! გახარია მოსკოვში მუშაობდა აეროპორტის ტერმინალში. აეროპორტის თანამშრომლები, მუშით დაწყებული, მენეჯერით დამთავრებული, წარმოადგენს რუსეთის უშიშროების ნომენკლატურას. ისეთი რა უნარ-ჩვევები და ბიოგრაფია აღმოჩნდა გახარიას, რომ ბიზნესომბუდსმენიც გახდა, ეკონომიკის, შს მინისტრიც და პრემიერიც?! გახარია მონაწილეობდა საგაზაფხულო სცენარში, ოღონდ მაშინ მისი მხრიდან პარტიის შექმნა არ იგეგმებოდა. მას შემდეგ, რაც ღარიბაშვილი დააკავებდა მელიას, „გმირი“ და მომრიგებელი გახარია ტრიუმფალურად ბრუნდებოდა ძალაუფლებაში. ეს რუსეთის ერთ-ერთი ბოლო გაბრძოლება იყო. კრემლმა დაინახა, რომ აშშ და მისი საელჩო საქართველოში დესტაბილიზაციას არ უშვებენ.

– რუსეთი კიდევ გაიბრძოლებს?

– რუსეთი, ჩემი ვარაუდითა და ინფორმაციით, კიდევ ერთხელ გამოაჩენს ბრჭყალებს. ეს იქნება შემოდგომაზე. როგორ გგონიათ, რატომ არ იღებენ ჩავარდნილი რევოლუციიდან შემორჩენილ კარვებს?! ამით მანიფესტაციების შესახებ კანონი ირღვევა. უვადო პროტესტი აკრძალულია. ეს ვერ მოხდებოდა ხელისუფლების ზოგიერთი წევრის ხელშეწყობის გარეშე.

– ოპოზიციას ხელისუფლებაში ლობისტები ჰყავს?

– ცხადია. არ ვლაპარაკობ მთელ ხელისუფლებაზე. გამოძიება ამ ლობისტებითაც უნდა დაინტერესდეს.

– ნიკა მელია თავის ორ თანაპარტიელთან ერთად აშშ-ში იმყოფება. ამაზე რას იტყვით?

– მელიამ და მისმა თანაპარტიელებმა გამოაცხადონ, ვისი მიწვევით იმყოფებიან აშშ-ში! ასე, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩავიდეს ვაშინგტონში, კონგრესის დერეფანში დახვდეს კანონმდებლებს, მათ ხელი ჩამოართვას, გადაიღოს სურათები და ა.შ.

– ამ ვიზიტს არასერიოზულად წარმოაჩენთ.

– ეს ვიზიტიც არასერიოზულია და მისი ეპოქალურად შეფასებაც. არ გახსოვთ, აშშ-ში ჩავიდნენ სამადაშვილი, ხოშტარია, დეკანოიძე. რა შედეგი მიიღეს? ვექტორი მოაბრუნეს და ნდობა მოიპოვეს? ესეც წინასავით არასერიოზული ვიზიტია.

– გახარიას პარტიელები ამაყობენ იმით, რომ მათ პარტიას ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ჰარცელმა „არსებითად პროევროპული“ უწოდა.

– საქართველოში პოლიტიკურ რეალობას აყალიბებს აშშ, რომლის ელჩმა გადაგვარჩინა რუსულ რევოლუციებს. აშშ-სა და ევროპის წამყვან სახელმწიფოებს – გერმანიასა და საფრანგეთს ხშირად განსხვავებული პოლიტიკური მიზნები აქვთ. გერმანიას რუსეთთან აქვს საერთო ინტერესები. ჰარცელი ევროპული პოლიტიკის წარმომადგენელია. მისი შეფასება მოცემულობას არ ცვლის. გახარია ამით რუსულ ტვირთს ვერ მოიხსნის. რუსულ-გერმანული თანამშრომლობის შედეგად ვერც გრიგოლ ვაშაძემ მიაღწია მიზანს. ნაცმოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე რუსეთს საქართველოში პრეზიდენტად უნდოდა. ერთადერთი, რაც ლავროვ-მერკელის გარიგებით გამოვიდა, იყო გრიგოლ ვაშაძისათვის ხელის ჩამორთმევა. სულ ეს იყო. გრიგოლ ვაშაძე ვერ გახდა დასავლელი და ვერ გახდა პრეზიდენტი.

– გრიგოლ ვაშაძე პარლამენტში გახდა იმ ფრაქციის წევრი, რომელსაც შარლ მიშელის რეფორმების სახელი დაარქვეს.

– ეს კომიკურია. თუ ასე უდგებიან ფრაქციების სახელებს, მაშინ კელი დეგნანის ან ბისმარკისა და ჩერჩილის ფრაქციებიც შეექმნათ! კელი დეგნანს დიდი დამსახურება აქვს ქვეყნის წინაშე. ქართული პოლიტიკის გამასხარავებაც კრემლის დავალებაა. სასაცილოა, საქართველოს პარლამენტში იყოს შარლ მიშელის რეფორმების ფრაქცია და იქ შედიოდეს გრიგოლ ვაშაძე, კაცი, რომელიც რუსეთს საქართველოს პრეზიდენტად გაჰყავდა და რომელიც საკვანძო როლს ასრულებდა 2020 წლის შემოდგომის რევოლუციაში.

საქმის № 820210621004582094

6721962693475

www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების თაობაზე

28 აპრილი, 2021 წელი ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო
მოსამართლე – გოჩა ფუტკარაძე

განმცხადებელი – შპს „აჭარა ტრეიდინგ გრუპ"
მოთხოვნის არსი – ქონების უპატრონოდ ცნობა
სასამართლომ განიხილა ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინების (ცნობის) გამოქვეყნების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს „აჭარა ტრეიდინგ გრუპმა“ განცხადებით მომართა სასამართლოს და ციტრუსის დახარისხების მანქანა-დანადგარების და მასთან დაკავშირებული მოძრავი ნივთების უპატრონოდ ცნობა მოითხოვა.

განმცხადებლის წარმომადგენელი განმარტავს, რომ 2021 წელს 20 იანვარს აუქციონზე შეიძინა ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. მუხაესტატეში მდებარე 7574 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1529,2 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდით 20.33.03.051). უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სახელმწიფოს წინაშე წარმოეშვათ საინვესტიციო ვალდებულება, კერძოდ ორი წლის განმავლობაში 200 000 ლარის ინვესტირება, ასევე მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებული შემნობა-ნაგებობაში საწარმოო ფუნქციის დანიშნულების შენარჩუნება. ქონების ფაქტობრივად დაკავების შემდეგ გაირკვა, რომ შენობა ნაგებობაში განთავსებულია ციტრუსის დახარისხების მანქანა-დანადგარები და მასთან დაკავშირებული მოძრავი ნივთები, რასაც რამოდენიმე წლის წინ სარგებლობდა შპს „მანიაკეთი„. იგი დასახელებული ტექნიკური საშუალებებით ახორციელებდა ციტრუსოვანთა ნაყოფის დახარისხებას სოფ. მუხაესტატეში, ყოფილი შესაფუთი ქარხნის ტერიტორიაზე. მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ვერ გაარკვია ქონება შპს „მანიაკეთისაა“ თუ სხვა პირის. აღნიშნულის თაობაზე მიმართა შპს „მანიაკეთს“ და პოლიციასაც. ვარაუდობს, რომ მესაკუთრემ ეს ქონება მიატოვა, რის გამოც მოითხოვს ქონება აღიარებული იქნას უპატრონოდ და მას გადაეცეს საკუთრებაში.

სასამართლო განმარტავს, რომ ციტრუსის დახარისხების მანქანა-დანადგარების და მასთან დაკავშირებული მოძრავი ნივთების უპატრონოდ ცნობა დაკავშირებულია რიგ საპროცესო მოქმედებებთან. პირველ რიგში აუცილებელია დადგინდეს მისი მესაკუთრის ვინაობა, ასევე უნდა დადგინდეს მათ საკუთრებასთან დაკავშირებით ვინმეს აქვს თუ არა პრეტენზია. განმცხადებელმა განახორციელა რიგი ღონისძიებები, მაგრამ მან ვერ შეძლო მესაკუთრის ვინაობის დადგენა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის საფუძვლებით, რომლის მიხედვითაც, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს: იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ; განმცხადებლის ვინაობას; იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს; მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

დასახელებული ნორმის მიზანია უპატრონოდ ასაღიარებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის გადასაწყვეტად, დაინტერესებულ პირებს მიეწოდოთ ინფორმაცია და ამ გზით დაცული იქნას მათი უფლებები. დასახელებული ნორმის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ ციტრუსის დახარისხების მანქანა-დანადგარების და მასთან დაკავშირებული მოძრავი ნივთების უპატრონოდ ცნობისათვის გაზეთ ახალ თაობაში მოხდეს პუბლიკაციის გამოქვეყნება. პუბლიკაციის გამოქვეყნების მიზანია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე სხვა პირთა პრეტენზიის გამოვლენა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337-339-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გაზეთი „ახალი თაობაში“ გამოქვეყნდეს პუბლიკაცია მასზედ, რომ შპს „აჭარა ტრეიდინგ გრუპის“ მფლობელობაშია ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. მუხაესტატეში, 20.33.03.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთში მდებარე, ყოფილი შესაფუთი ქარხნის ტერიტორიაში განთავსებული ციტრუსის დახარისხების მანქანა-დანადგარები და მასთან დაკავშირებული მოძრავი ნივთები. შპს „აჭარა ტრეიდინგ გრუპ“ მოითხოვს დასახელებული მანქანა-დანადგარები და მასთან დაკავშირებული მოძრავი ნივთები უპატრონოდ იქნეს ცნობილი და გადაეცეს საკუთრებაში.

2. დაინტერესებულ პირებს განემარტოთ, რომ თუ მათ ციტრუსის დახარისხების მანქანა-დანადგარების და მასთან დაკავშირებული მოძრავი ნივთების მიმართ გააჩნიათ პრეტენზია, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ხელვაცაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

3. განჩინებაზე საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **გოჩა ფუტკარაძე**

მუხრანში დავით ჩუგუაშვილი მოკლეს

მისმა შვილმა თავი მოიკლა

ტრაგედია მუხრანში – სავარაუდოდ, მეზობლებს შორის მომხდარი დაპირისპირებისას შუახნის მამაკაცი დავით ჩუგუაშვილი მძიმედ დაიჭრა, რის შემდეგაც ის კლინიკაში გარდაიცვალა.

სოფელში მომხდარი ტრაგედია კი ტრაგედიით გაგრძელდა, მამის გარდაცვალების გამო დავით ჩუგუაშვილის შვილმა, 30 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცმა, თავი მოიკლა.

სოფელში მომხდართან დაკავშირებით საუბარი უჭირთ. არსებული ინფორმაციით, შუახნის მამაკაცის სავარაუდო მკვლელი იდენტიფიცირებულია, ის 30 წლამდე მამაკაცია, რომელსაც პოლიცია ამ დრომდე ეძებს. „კურიერმა“ სავარაუდო დამნაშავის ვინაობა გაარკვია. ის ბექა იორამაშვილია.

მეზობლებს შორის დაპირისპირება მუხრანში რამდენიმე დღის წინ მოხდა. სავარაუდო ვერსიად ბიზნესი სახელდება, რადგან ჩუგუაშვილს ხორცის მაღაზია აქვს. რამდენიმე დღის წინ მას თანასოფლელთან კონფლიქტი მოუვიდა, რომლის დროსაც მას ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს.

ის საავადმყოფოში იყო გადაყვანილი, სადაც 14 ივნისს გარდაიცვალა.

ბოლნისში ქმარმა ცოლი გონების დაკარგვამდე ცემა

ქალი კლინიკაში გარდაიცვალა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ბოლნისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული რ.მ. დააკავეს.

მას ბრალად ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ედება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა მიმდინარე წლის 12 ივნისს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში ურთიერთშელაპარაკებისას მეუღლეს – 1981 წელს დაბადებულ ს.ი.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც ქალმა გონება დაკარგა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

პოლიციამ რ.მ. ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა – 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„მამაკაცი სართულებზე ამომყვა და უხამსი ქმედებებით დაკავდა“

რა მოხდა რუსთავში

„ინფო რუსთავს“ 30 წლამდე ახალგაზრდა ქალი დაუკავშირდა და განუცხადა, რომ მას უცხო მამაკაცი აედევნა.

– მამაკაცი მაღაზიიდან გამომყვა და სადარბაზოში შემომყვა, სართულებზეც კი ამომყვა. მიყურებდა, შემდეგ კი უხამსი ქმედებით დაკავდა, – განაცხადა სააგენტოსთან ახალგაზრდა ქალმა.

მისი თქმით, მამაკაცი 40-45 წლის იქნებოდა, უხამსი ქმედების შემდეგ კი სადარბაზო მაღლევე დატოვა.

შემთხვევა რუსთავში, დავითგარეჯის ქუჩაზე მოხდა.

ასელ აიტპაევას გაუპატიურებაში ბრალდებული ბესიკ თორდუა პატიმრობაში დარჩა

26 წლის ასელ აიტპაევას გაუპატიურებაში ბრალდებული ბესიკ თორდუა კვლავ პატიმრობაში რჩება. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა მიიღო.

გუშინდელ, 15 ივნისის, სასამართლო სხდომაზე დაკავებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა.

დაცვის მხარე დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 20.000-ლარიანი გირაოს გამოყენებას, ბრალდების მხარე კი თორდუას მიმართ კვლავ პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა.

26 წლის ყაზახმა ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით 5 მაისს დაასრულა. მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცავებმა საქართველოში ბესიკ თორდუა დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 115-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია და თვითმკვლელობამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი მუქარით მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამასთან, პროკურატურამ გაუპატიურების ორი ეპიზოდის ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა გარდაცვლილი ქალის ნათესავს, მურატ მეირბეკოვს. ის გარდაცვლილი ქალის დედის საჩივრის საფუძველზე რამდენიმე დღის წინ ყაზახეთში დააკავეს, თუმცა ყაზახეთის პროკურატურის მიერ დაკავებულს ამ ეტაპზე ტრეფიკინგის ბრალდება აქვს წარდგენილი.

პოლიციამ თბილისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი გ.მ. და 1986 წელს დაბადებული გ.წ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ ასევე დააკავა 1987 წელს დაბადებული კ.გ., რომელმაც ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მოპოვებული ოქროს ნივთები ქალაქ ქუთაისში, ოქროს ნივთებით მოვაჭრე ერთ-ერთ ქალბატონზე გაასაღა. აგრეთვე, იგი საცხოვრებელ ბინაში მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა საბრძოლო მასალას.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისს გ.მ. და გ.წ. ყაჩაღურად თავს დაესხნენ თბილისში, ს.ჩიქოვანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის მეპატრონეს და დანის მუქარით 40. 000 ლარის ღირებულების ოქროს ნივთები გასტაცეს.

სამართალდამცველებმა ყაჩაღობის შედეგად გატაცებული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ერთ-ერთი ბრალდებული კ.გ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნები.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას.

ყაჩაღობასა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ბრალდებულს 8 წლით პატიმრობა მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ყაჩაღობასა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არაერთგზის ჩადენილი ყაჩაღობისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა– შენახვისთვის ბრალდებული ლ.ც. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე მოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2020 წლის 11 ოქტომბერს თბილისში ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა– შენახვა-ტარებისთვის ნასამართლევი ლ.ც. თავს დაესხა ბ.მ.-ს, რა დროსაც სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით და იარაღის დემონსტრირებით დაზარალებულის 2500 ლარის ღირებულების მოპოვდს დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ლ.ც.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა 12 ოქტომბერს, ერთ-ერთი სარდაფიდან ლ.ც.-ს მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნები ამოიღეს. ლ.ც. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის), 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლ.ც. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სენაკში მომხდარი დაჭრისთვის პოლიციამ 24 წლის ბ.გ. დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ბ.გ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, სოფელ ხორშისკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე, 1975 წელს დაბადებული ლ.მ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბ.გ. მომხდარიდან მეორე დღეს ქალაქ მცხეთაში დააკავა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ოჯახებიდან სიღარიბის გამო გაყვანილ 3 ბავშვს მოსამართლე დავით წერეთელმა 35.000 ლარი მიაკუთვნა

სიღარიბის გამო ბავშვების ოჯახისგან დაშორება სასამართლომ უკანონოდ ცნო. შესაბამისი სარჩელი სასამართლოში „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შეიტანა, რომელიც სასამართლომ დაკმაყოფილა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. სიღარიბის გამო მინდობით აღზრდაში ბავშვების გადაყვანა და ოჯახთან დაცილება უკანონოდ ცნო და დაზარალებულ სამ ბავშვს მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 35.000 ლარი მიაკუთვნა.

ბავშვები 2 წლის წინ სოციალურმა სამსახურმა უკანონოდ, ოჯახის გაძლიერების გარეშე, გამოიყვანა სახლიდან და დედას დააცილა. ბავშვებმა ორი წელი მშობლისგან მოშორებით გამოწვეული სტრესის ქვეშ იცხოვრეს. ეს გარემოება სასამართლომ მიიჩნია უკანონოდ და დაკმაყოფილა სარჩელი.

საქმე განიხილა მოსამართლე დავით წერეთელმა“, – წერია განცხადებაში.

სამცხე-ჯავახეთში 1.548 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი 1.548 კოლოფი სხვადასხვა დასახელების თამბაქოს ნაწარმი – სიგარეტი ქართული აქციზური მარკის გარეშე. ამოღებული საქონლის ჯამური საბაზრო ღირებულება 6.600 ლარს აღემატება.

გამოძიების პროცესში ასევე ამოღებულ იქნა უაქციზო სიგარეტის გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

წყალტუბოში ქალებმა სასტუმრო „არგო“ დაარბიეს და მეპატრონე ცემეს

ვანდალიზმი წყალტუბოში – სასტუმრო „არგოში“ კომენდანტის საათის დროს უცნობი პირები სასტუმროში შეიჭრნენ. ქვებით ჩამსხვრეულია შუშები, დაზიანებულია ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, ნაცემია სასტუმროს მეპატრონე.

– მე დამირეკეს 4-ის ნახევარზე, შემთხვევა მოხდა, გამოვიქეცი, აქ დამხვდა ჩოჩქოლი, აურზაური, დაზარალებული ჩემი შვილიშვილია. სასწრაფომ გადაიყვანა ქუთაისში. დიდი ხათრით, თორემ ალბათ გაუშვებდნენ, დაიწყეს დაკავება.

როგორც ჩანს, კარი ვერ გააღეს, აიღეს დეკორატიული დიდი ქვები და დაიწყეს ჩამსხვრევა, 15 მეტრის რადიუსში ყველა შუშა გატეხილია, შეიჭრნენ შიგნით, შევარდნენ ადმინისტრატორის ოთახში და დაუწყეს ცემა ახალგაზრდა კაცს, – ამბობს სასტუმროს ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

მისი თქმით, სავარაუდოდ, ნასვამი პირების გაღიზიანება ხმაურსა და უწესრიგობაზე მიცემულმა შენიშვნამ გამოიწვია.

გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს, როგორ უშენს სასტუმროს ქვებს 2 ახალგაზრდა ქალი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ხულიგნობის ბრალდებით, 2001 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ქ., 2000 წელს დაბადებული ქ.ქ. და 2004 წელს დაბადებული თ.თ. დააკავეს.

დანაშაული 2-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 15 ივნისს წყალტუბოში სასტუმრო „არგოს“ ფასადი ქვებით დააზიანეს და ამავე სასტუმროს მფლობელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია. მის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბრალდებულები არ დაემორჩილნენ შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მისული სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას და დაკავების დროს პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს.

რაიმე საგნის გამოყენებით ჯგუფურად ჩადენილ ხულიგნობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ისრაელში პირბადეების გარეშე სიარული დახურულ სივრცეებშიც ნებადართული იქნება

ისრაელში მოქალაქეები პირბადეების ტარების ვალდებულებისგან არა მხოლოდ ღია, არამედ დახურულ სივრცეებშიც თავისუფლდებიან.

ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ გამონაკლისი მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში იმოქმედებს და პირბადეები უნდა გამოიყენონ სხვადასხვა სოციალური დაწესებულების, მოხუცთა თავშესაფრის თანამშრომლებმა და სტუმრებმა, თუკი ისინი ვაქცინირებულები არ არიან ან ვირუსი ჯერ არ გადაუტანიათ, კარანტინში მყოფმა პირებმა და ავიამგზავრებმა.

ამასთან, სამინისტროს ცნობით, თუკი ავადობის შემცირების ტენდენცია გაგრძელდა და 12-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების ვაქცინაციის კამპანია წარმატებით განხორციელდა, პირბადეების სკოლებში გამოყენების ვალდებულების გაუქმების საკითხიც განიხილება.

ისრაელის მოსახლეობის ნახევარზე მეტი უკვე სრულად არის ვაქცინირებული. ქვეყანაში 12-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების ვაქცინაცია გასულ კვირას დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ისრაელში პირბადის ქუჩაში ტარება სავალდებულო აპრილიდან აღარ არის.

ელისაბედ II-მ ტორტი ხმლით გაჭრა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ „დიდი შვიდეულის“ პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე, რომელიც კორნუოლის საგრაფოში გაიმართა, საზეიმო ცერემონიაზე ტორტი ხმლით გაჭრა. ამის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე გამოქვეყნდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხმალი დედოფალს კორნუოლის ლორდ-ლეიტენანტმა ედვარდ ბოლიტომ გადასცა. როდესაც ადიუტანტმა აღნიშნა, რომ ტორტის დასაჭრელად სპეციალური დანა იყო გათვალისწინებული, დედოფალმა მას უპასუხა: „ვიცი, რომ არსებობს, მაგრამ ასე უფრო უჩვეულოა“.

ტორტის საზეიმო გაჭრას ასევე ესწრებოდა ელისაბედ II-ის რძალი კამილა პარკერ-ბოულზი და დედოფლის შვილიშვილის მეუღლე კეიტ მიდლტონი.

ქალაქ შუშაში თურქეთის გენერალური საკონსულო გაიხსნება

ქალაქ შუშაში თურქეთის გენერალური საკონსულო გაიხსნება.

ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომელიც გუშინ, 15 ივნისს, ქალაქს ესტუმრა.

მისი თქმით, საკონსულოს გახსნა უახლოეს მომავალში იგეგმება.

– ამ გზით ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ რეგიონში ჩვენი საქმიანობა უფრო სწრაფი და ეფექტური იყოს, – აღნიშნა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში გუშინ ჩავიდა და მთიანი ყარაბაღის ქალაქებს ფიზულსა და შუშას ეწვია.

დაცვის თანამშრომელმა თავი ქირურგად გაასაღა და ქალს ოპერაცია გაუკეთა

პაკისტანში საავადმყოფოს დაცვის თანამშრომელმა თავი ექიმად გაასაღა და 80 წლის პაციენტ ქალს ოპერაცია გაუკეთა.

მიმდინარე წლის მაისის ბოლოს საავადმყოფოს დაცვის თანამშრომელმა მუხამედ ვახიდ ბატმა თავი ექიმად გაასაღა და პაციენტის შამიმ ბეგუმის ახლობლებს დაუკავშირდა. მან მათი ნდობა მოიპოვა, ქალისთვის ზურგზე ოპერაციის გაკეთება შესთავაზა და ამისთვის თანხა მოითხოვა.

ქალის ახლობლები დასთანხმდნენ და 2021 წლის 26 მაისს ბატმა ბეგუმს საავადმყოფოს ტექნიკოსთან ერთად ოპერაცია გაუკეთა.

ოპერაციის შემდეგ მამაკაცი ორჯერ მივიდა პაციენტის სახლში გადახვევაზე. მისი ეს ვიზიტებიც, რა თქმა უნდა, ფასიანი იყო.

მიუხედავად „ქირურგის“ ვიზიტებისა, ქალს სისხლდენა და ტკივილები გაუძლიერდა. ნათესავებმა ბეგუმი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

ქალის გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ მას ოპერაცია გაუკეთა დაცვის თანამშრომელმა და არა ქირურგმა. უფრო მეტიც, გაირკვა, რომ ბატის მიერ ეს ექიმად თავის გასაღების პირველი შემთხვევა არ ყოფილა. საავადმყოფოს თანამშრომლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის ორი წლის წინ საავადმყოფოდან პაციენტებისთვის ფულის გამოძალვის მცდელობისთვის იქნა გათავისუფლებული.

გარდაცვლილი ქალის ცხედარი მისი გარდაცვალების მიზეზის დასადგენად სამედიცინო ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი, ხოლო ბატი დაპატიმრებულია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ინგლისში შეზღუდვების მოხსნა 19 ივლისამდე გადაიდო

ინგლისში „ლოქდაუნის“ ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების მოხსნის ბოლო ეტაპი თითქმის 1 თვით, 19 ივლისამდე გადაიდო.

მთავრობამ გადაწყვეტილება კორონავირუსით ინფიცირების რაოდენობის ზრდის ფონზე მიიღო, რაც კორონავირუსის „დელტა“, „ინდური ვარიანტით“ არის განპირობებული.

– ვფიქრობ, გონივრულია, რომ კიდევ ცოტა ხანს დაველოდოთ. დარწმუნებული ვარ, ამისთვის ოთხ კვირაზე მეტი აღარ დაგვჭირდება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა.

მეცნიერები მთავრობას აფრთხილებდნენ, რომ თუკი შეზღუდვების მოხსნის მეოთხე ეტაპი 21 ივნისს დაიწყებოდა, როგორც ეს დაგეგმილი იყო, შესაძლოა, იმ კოვიდინფიცირებულების რაოდენობა, რომლებიც საავადმყოფოში მკურნალობას საჭიროებენ, მნიშვნელოვნად გაზრდილიყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

11 წლის წინ დაკარგული გოგონა მეზობელ სახლში აღმოაჩინეს

ინდოეთის კერალის შტატის ქალაქ პალგხატის მახლობლად მდებარე სოფელში 11 წლის წინ დაკარგული გოგონა მეზობელ სახლში იპოვეს.

2010 წლის თებერვალში იმ დროისთვის 18 წლის საჯიტა სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. გოგონას თან არ წაუღია მობილური ტელეფონი, ამიტომ ნათესავებისა და პოლიციის მასთან დაკავშირების ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. საბოლოოდ საჯიტას ოჯახმა მისი პოვნის ყოველგვარი იმედი დაკარგა.

ყველაფერი მიმდინარე წლის გაზაფხულზე შეიცვალა, როდესაც მოულოდნელად მეზობლად მცხოვრები ალინჩუვატილ რახმანი გაუჩინარდა. 8 ივნისს რახმანის ძმამ ის სხვა სოფელში გოგონასთან ერთად შენიშნა, რომელიც 11 წლის წინ დაკარგული საჯიტა აღმოჩნდა. მან ამის შესახებ ნათესავებსა და პოლიციას აცნობა.

გაირკვა, რომ 2010 წელს საჯიტა რახმანის ოჯახში გადავიდა და 11 წელი ახალგაზრდა მამაკაცის ნათესავებისგან მალულად ჩაკეტილ ოთახში ცხოვრობდა, სადაც მამაკაცი არავის უშვებდა.

ძმის განმარტებით, რახმანი ძალიან ფეთქებადი ხასიათისაა, ამიტომ მშობლები არ ეკითხებოდნენ, თუ რატომ ჰქონდა ოთახი ჩაკეტილი, თუმცა სამი თვის წინ ახალგაზრდა მამაკაცსა და ოჯახის დანარჩენ წევრებს შორის მწვავე დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი და მან გადაწყვიტა, საჯიტასთან ერთად მეზობელ სოფელში გადასულიყო. ის სწორედ იქ შენიშნეს.

პოლიციის ოფიცერ დიპა კუმარის თქმით, საჯიტასა და რახმანს შეუღლება არ შეეძლოთ, ვინაიდან სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები იყვნენ და სწორედ ამიტომ იყვნენ იძულებული, საკუთარი ურთიერთობა დაემალათ.

პოლიციამ შეყვარებულები ადგილობრივ სასამართლოში გააგზავნა, სადაც მათ ერთად ცხოვრების ოფიციალური ნებართვა მიიღეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

სპორტი

ევროტურნირებზე ქართული გუნდების მეტოქეები გაირკვა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა.

საქართველოს ჩემპიონ თბილისის დინამოს მეტოქედ აზერბაიჯანის პირველობის გამარჯვებული ბაქოს ნეფთჩი ერგო.

მატჩები 6-7 და 13-14 ივლისს ჩატარდება. პირველ შეხვედრაში მასპინძელი კახა ცხადაძის გუნდი იქნება.

თუ დინამო მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე გავა, უკვე განუთესავთა შორის მოხვდება.

მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა უკვე 16 ივნისს გაიმართება.

უეფას ახალი საკლუბო ტურნირის, კონფერენციის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში გაიმართა.

ახალ ტურნირზე სამი ქართული გუნდი გამოვა – ბათუმის დინამო, დილა და გაგრა. წილისყრის შემდეგ მათი მეტოქეები გაირკვა. უნდა ითქვას, რომ ახალ ტურნირზე ქართულ გუნდებს მეტ-ნაკლებად გაუმართლათ. დიდი შანსი იყო, ჩვენებს უფრო ძლიერი გუნდები შეხვედროდათ.

საქართველოს ვიცეჩემპიონი ბათუმის დინამო სან მარინოს ტრე პენეს დაუპირისპირდება და პირველ მატჩს შინ გამართავს.

მესამეადგილოსან გორის დილას მეტოქედ სლოვაკური ჟილინა ერგო. ანდრი დემჩენკოს გაწვრთნილი შეგირდები პირველ შეხვედრას სტუმრად ჩაატარებენ.

საქართველოს თასის გამარჯვებული გაგრა კი მონტენეგროს სუტიესკას დაუპირისპირდება. ეროვნული ლიგა 2-ის გუნდი პირველად შინ ითამაშებს.

უეფას კონფერენციის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო წრის მატჩები 8 და 15 ივლისს გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

„გორდელა“ იუბილარია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გოგონათა გუნდი „თსუ გორდელა“ იუბილარია. მას დაარსებიდან 14 წელი შეუსრულდა.

გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც არაერთი საერთაშორისო პრიზის მფლობელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 წელს დაარსდა და მას შემდეგ ათასობით გულშემატკივარი და ერთგული მსმენელი გაიჩინა.

ჭაბუკა ამირანაშვილის ალბომი გერმანიაში დაიბეჭდა

მუსიკოს ჭაბუკა ამირანაშვილის მუსიკის სოლოალბომი გერმანიაში დაიბეჭდა.

ინფორმაცია ხელოვანმა თავად გაავრცელა და ათასობით გულშემატკივარს სასიამოვნო სიახლე გაუზიარა:

– გერმანიაში დაიბეჭდა ჩემი მუსიკის სოლოალბომი. ვისაც გაგიხარდათ, შეგიძლიათ, მომილოცოთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბათუმის დინამომ წაიფორხილა და ცხრილში ორხელისუფლებიანობაა

სამგუხარი-დინამო (ბთ) 0:0

წყალტუბო. 26 მაისი

სამგურალი: ქვილითაია, პატარკაციშვილი, გილმორი, ქურდაძე, ბურჯანაძე, ფონიავა (ჩიხლაძე 75), კირკიტაძე (ლექვთაძე 75), დოლიძე (ვერულიძე 57), კიკაბიძე, კუხიანიძე, კალანდარიშვილი

დინამო: კუპატაძე, ნავალოვსკი, მარგველაშვილი, გაგოშიძე, ტეიდი, ჯიღაური (გაფრინდაშვილი 64), მანჯგალაძე (შინდაგორიძე 55), მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი (ფანცულაია 84), გროზურეკი (ზარია 55), სანოგო (ნიქაბაძე 46)

ეროვნული ლიგის მე-17 ტურის მე-2 სათამაშო დღე სამგურალისა და ბათუმის დინამოს დაპირისპირებით გაიხსნა. ჩემპიონობისთვის მებრძოლი სტუმრები ამ შეხვედრის ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს. მატჩი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა – 0:0.

არადა, 17 ტურის შემდეგ ბათუმის დინამო 35 ქულით თბილისის დინამოსთან ერთად ლიდერობს გათამაშების ცხრილს. სამგურალი კი 23 ქულით მე-6 პოზიციაზეა.

დილა-თელავი 1:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 შეყილაძე (17), 1:1 კაპანაძე (42)

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, ჭიჭინაძე, მოსიაშვილი, ღუდუშაური, მაისაშვილი, თ.კაპანაძე, სანტოსი, ბიძინაშვილი (მადინგა 80), სილვა (ნემსაძე 80), კამარა (ბუღრიძე 67)

თელავი: სანიკიძე, ზ.თევზაძე, მარაქველიძე, მ.ბაშელეიშვილი, ჯანელიძე (სოსიაშვილი 85), ჯიქია, ბაიბალაევი (ლ.კოხრეიძე 60), ციცქიშვილი (აშორტია 60), შეყილაძე (ხაბულიანი 72), ძოწენიძე, შერგელაშვილი

გაძევება: ბუღრიძე (90)

გორელები გამოკვეთილი ფავორიტები იყვნენ, მაგრამ მოვლენები მოულოდნელად განვითარდა. მატჩის მე-17 წუთზე სტუმრები შოთა შეყილაძემ დააწინაურა. დარჩენილ დროში მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც გორის დილამ მოახერხა, ერთი ბურთის გაქვითვა იყო. 42-ე წუთზე წონასწორობა თორნიკე კაპანაძემ აღადგინა.

ამ დროისთვის გორის დილას აქტივში 26 ქულაა და ამ მაჩვენებლით გუნდი გათამაშების ცხრილში მე-5 პოზიციას იკავებს. თელავი კი 9 ქულით კვლავ ბოლო ადგილზეა.

ლოკომოტივი-ტოხპედო 3:1

საგურამო. ლოკო-საგურამო

1:0 სიხარულიძე (47), 2:0 კირკიტაძე (69), 2:1 ჩალაძე (77), 3:1 გავაშელიშვილი (85)

ლოკომოტივი: მამარდაშვილი, კაშია, დარცმელია, სიხარულიძე (გავაშელიშვილი 73), სამურკასოვი (ანდრონიკაშვილი 79), იმრანი (კახაბრიშვილი 88), შონია, სანდოხაძე, თ.კირკიტაძე (იაკობიძე 79), გაბაძე, უბილავა (ქველაძე 88)

ტორპედო: ჰამზიჩი, ვ.ტაბატაძე, მირცხულავა (რეკიში 68), ქაფიანიძე, ძარია (მამასახლისი 20), ზიდანი, ბუკასი (ა.თევზაძე 90), ინკუმი, ტუიჩიბაევი, ჩალაძე, ჩაკვეტაძე (გრიგალაშვილი 90)

გაძევება: ინკუმი (89)

თბილისის ლოკომოტივმა ტორპედოსთან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. დედაქალაქელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ სათამაშო უპირატესობას და მეტოქის კარში 3 გოლის გატანაც მოახერხეს.

ანგარიში 47-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ გახსნა, უპირატესობა ორამდე 69-ე წუთზე თორნიკე კირკიტაძემ გაზარდა. სტუმრებმა ინტრიგა ცოტა ხნით მას შემდეგ დააბრუნეს, რაც გიორგი მამარდაშვილის კარი ლაშა ჩალაძემ აიღო. თუმცა მამია გავაშელიშვილმა ტორპედოს მე-3 გოლი გაუტანა და 3 ქულის მოპოვების საკითხიც გადაწყვიტა.

თბილისის ლოკომოტივმა, რომლის რიგებშიც გურამ კაშიამ ბოლოჯერ ითამაშა, ეროვნულ ლიგაში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ტორპედომ 5-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.

შედეგად გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდს 30 ქულა დაუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა. ტორპედო კი 17 ქულით მე-7 პოზიციას იკავებს.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	17	10	5	2	31-10	35
2.დინამო (თბ)	17	11	2	4	27-13	35
3.ლოკომოტივი	17	9	3	5	31-25	30
4.საბურთალო	17	7	7	3	22-18	28
5.დილა	17	7	5	5	19-16	26
6.სამგურალი	17	6	5	6	17-20	23
7.ტორპედო	17	3	8	6	16-18	17
8.შუქურა	17	3	7	7	14-24	16
9.სამტრედია	17	2	4	11	16-30	10
10.თელავი	17	1	6	10	11-30	9

მინი სენსაციური და რეკორდული დღე

შოტლანდია-ჩეხეთი 0:2

გლაზგო. ჰემპდენ პარკი

0:1, 0:2 შიკი (42, 52)

შოტლანდია: მარშალი, ჰენდრი (მაკგრეგორი 67), ჰენლი, კუპერი, ოდენელი (ფორესტი 79), არმოსტრონგი (ფრეიზერი 67), მაკგინი, მაკტომინეი, რობერტსონი, დაიკსი (ნისბეტი 79), კრისტი (ადამსი 46)

ჩეხეთი: ვაცლიკი, სოუფალი, ჩელუსტკა, კალასი, ბორუილი, სუჩეკი, კრალი (გროლეში 67), მასოპუსტი (ვიდრა 72), დარიდა (შევჩიკი 87), იანკტო (გლოუეკი 72), შიკი (კრმენჩიკი 87)

მშობლიური „ჰემპდენ პარკის“ კედლებმა შოტლანდიას ვერ უშველა. ლევერკუზენის ფორვარდმა პატრიკ შიკმა სკოტთა ოცნებები პირველ ტურში დაასამარა.

არადა, შოტლანდიელები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, ბევრსაც უტევდნენ, მომენტებიც მრავლად შექმნეს, მაგრამ ჩეხთა მეკარე ვაცლიკი შესანიშნავად ირჯებოდა.

შიკიც შესანიშნავად ირჯებოდა. პირველი ტაიმის ბოლოს მოხდენილი თავურით გაიტანა, ხოლო მეორე გოლისას 45.44 მეტრიდან დაარტყა და ევროპირველობების ისტორიაში ყველაზე შორი მანძილიდან შეაგდო.

შოტლანდია ახლა ურთულეს მდგომარეობაშია. სათამაშო აქვს ფავორიტებთან – ხორვატია და ინგლისი. შემდეგ ეტაპზე გასვლის ამოცანა ძალიან გაურთულდათ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – პატრიკ შიკი

ჩეხები მისგან ბევრს ელოდნენ და ეს გაამართლა. თანაც როგორ გაამართლა – გუნდსაც მოაგებინა და ისტორიაშიც ჩაეწერა. ასევე შესანიშნავი იყო მეკარე ვაცლეკიც, მაგრამ ჩვენ შიკი გამოვარჩიეთ.

პოლონეთი-სლოვაკეთი 1:2

სანკტ-პეტერბურგი. სანკტ-პეტერბურგ არენა

0:1 შჩენსნი (18სკ), 1:1 ლინეტი (46), 1:2 შკრინიარი (69)

პოლონეთი: შჩესნი, ბერეშინსკი, გლიკი, ბედნარეკი, იოჟვიაკი, ლინეტი (ფრანკოვსკი 74), კრიხოვიაკი, კლიხი (მოდერი 85), რიბუსი (პუხაჩი 74), ლევანდოვსკი, ჟელინსკი (შვიდერსკი 85)

სლოვაკეთი: დუბრავკა, პეკარიკი (კოშელნიკი 79), შატკა, შკრინიარი, ჰუბოჩანი, ჰრომადა (ჰროსოვსკი 79), კუცკა, ჰარასლინი (ძიურიში 87), ჰამშიკი, მაკი (სუსლოვი 87), დუდა

გაძევება: კრიხოვიაკი (62)

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა პაულუ სოუზამ პირწმინდად წააგო ტაქტიკური ბრძოლა. ამიტომაც იყო, რომ სლოვაკეთის ნაკრები უფრო საინტერესო და სიმპათიური ჩანდა, ვიდრე ფავორიტად მიჩნეული პოლონელები.

სლოვაკეთი დაცვაში კარგად ირჯებოდა, ხოლო ლევანდოვსკის 2 ფეხბურთელი მუდმივად მეთვალყურეობდა. მართალია, შეტევაში მოიკოჭლებდნენ, მაგრამ მეტოქეზე მეტი მომენტი კი შექმნეს და აქედან ერთი გოლად აქციეს – მაკის შორიდან გასროლილი ძელს მოხვდა, შემდეგ – მეკარე სჩესნის და კარში შევარდა. პოლონელი გახდა პირველი მეკარე, რომელმაც ევროპირველობაზე გოლი საკუთარ კარში გაიტანა.

მე-2 ტაიმის საწყის წუთებში უკვე პოლონეთმა მოუმატა და ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ მალევე მოედნიდან კრიხოვიაკი გაუძევეს და სლოვაკებმა რიცხობრივ მეტობაში ისარგებლეს. შკრინიარმა გამარჯვების გოლიც გაიტანა და სლოვაკეთის ნაკრებს 3 ქულა მოუტანა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მილან შკრინიარი

სლოვაკი ფეხბურთელი დაცვაშიც საიმედოდ თამაშობდა და გამარჯვებაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა, როდესაც პოლონელებს გაუტანა.

ესპანეთი-შვედეთი 0:0

სევილია. ოლიმპიკო

ესპანეთი: სიმონი, მ.ლორენტე, დ.ლორენტე, პ.ტორესი, ალბა, კოკე (რუისი 87), როდრი (ტიაგო 66), პედრი, ფ.ტორესი (ოარზაბალი 74), მორატა (სარაბია 66), ოლმო (მორენო 74)

შვედეთი: ოლსენი, ლუსტიგი (კრაფტი 75), ლინდელოფი, დანიელსონი, აუგუსტინსონი, ს.ლარსონი, ოლსონი (კაიუსტე 84), ეკდალი, ფორსბერგი (ბენგტსონი 84), ბერგი (კვაისონი 69), ისაკი (კლაესონი 69)

პოლონეთის მსგავსად წაიფორხილა ესპანეთმაც, რომელიც ამ წყვილში ფავორიტად მიიჩნეოდა. მასპინძლებს ბურთის ფლობაში ტოტალური უპირატესობა ჰქონდათ – 85%. პირველ ტაიმში გაკეთებული პასებით ევროპის ჩემპიონატის რეკორდიც კი დაამყარეს – 419.

თუმცა ამ ყველაფერს ესპანელთათვის დივიდენდები არ მოუტანია. კი ჰქონდათ მომენტები, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ ვერ გამოიყენეს. შესვენების შემდეგ შვედები უფრო თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ და მხოლოდ ერთხელ გაეპარათ მორენო, რომელმაც ახლო მანძილიდან თავით ვერ გაიტანა – მეკარემ აუღო.

თავის მხრივ, გატანა შვედებსაც შეეძლოთ, მაგრამ იღბალი ესპანელებს წაეხმარათ. ჯამში ფრეს ჩაბღაუჭებულმა სკანდინავიელებმა საქმე დაგეგმილ ქულამდე მიიყვანეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რობინ ულსენი

ბევრი ვიფიქრეთ – ლინდელოფი თუ ულსენი. საბოლოოდ, არჩევანი მეკარეზე შევაჩერეთ, რომელიც ძალიან თავდაჯერებული იყო და მისი ასეთი სიმშვიდე ნერვებს უშლიდა ესპანელთა შემტევებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ღვინის დეგუსტატორის, შემრჩევის ძველი ქართული სახელწოდება; 2. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 3. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 4. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 5. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 11. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 12. ტროპიკებში გავრცელებული მოკლეხორთუმიანი ცხოველი; 14. ღვინის პატარა ქვევრი; 16. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 17. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესუსტებას; 19. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. აეროპორტი პეკინში; 22. ლუდის სასმელი ჭიქა.

თარაზულად: 6. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 7. ქართველ პოეტ ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმი; 8. მდინარე ბერლინში; 9. ტაივანის დედაქალაქი; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. ძველებური უმარტივესი სანათი მოწყობილობა; 15. ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 18. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 20. ისტორიული ციხე-კომპლექსი ხევსურეთში; 21. რეგიონი კახეთში; 23. სახელმწიფო კავკასიაში; 24. მოძრავი სკამი ნიჩბოსანთა ნავში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თული; 2. ჯანღი; 3. ალილო; 4. კოალა; 5. მერანო; 6. იუპიტერი; 8. როტვეილერი; 10. გლინტვიენი; 11. მელპომენე; 14. ჰიტროუ; 15. ასკანა; 16. სარკე.

თარაზულად: 1. თერჯოლა; 4. კიმიგაიო; 7. ლარნი; 9. ვოლგა; 12. დოლიძე; 13. ატაშე; 14. ჰერეთი; 17. პლაზმა; 18. ოლიგოფრენია; 19. დიოგენი; 20. ვერსია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დეფინიცია; 2. მირკანი; 3. მარუხი; 4. ქორქი; 5. აპათია; 11. დილერი; 12. ტრაკაი; 14. ზარა; 16. სპეკალი; 17. ესკადრა; 19. ბულიმია; 21. ფლეში; 22. მაზდა.

თარაზულად: 6. გენეტიკა; 7. აპოკოპე; 8. ქართუ; 9. ანემია; 10. ხუნდი; 13. ლინზა; 15. უსახელაური; 18. მიტარბი; 20. საბა; 21. ფელახი; 23. სიმპოზიუმი; 24. რატუშა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.2040

ევრო
— 3.8829

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.5164

100 რუსული
რუბლი
— 4.4320

ამინდის პროგნოზი 16 ივნისისათვის

ერიქსენი: „თავს კარგად ვგრძნობ“

დანიის ნაკრების ნახევარმცველმა კრისტიან ერიქსენმა სოციალურ ქსელში სურათი გამოაქვეყნა და თავის ამჟამინდელ მდგომარეობაზეც ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ ფინეთთან შეხვედრის დროს ერიქსენს გულის შეტევა მოუვიდა, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა მოახერხეს:

– თავს კარგად ვგრძნობ, თუმცა დამატებითი გამოკვლევები ისევ მჭირდება, რომ ზუსტად გავიგოთ, რა დამემართა. დანიის ნაკრებს მომავალ შეხვედრებში წარმატებას ვუსურვებ.

რეალს ლევანდოვსკის შეძენა სურს

მადრიდის რეალი შეტევის გაძლიერებას აპირებს და მადრიდულმა გუნდმა თვალი ბაიერნის ფორვარდ რობერტ ლევანდოვსკის დაადგა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაიერნი ლევანდოვსკის გაყიდვას არ აპირებს. ბაიერნი ამ ტრანსფერში მინიმუმ 80 მილიონს ითხოვს, რეალი კი 50 მილიონზე მეტზე ყაბულს არ არის.

გარდა ამისა, თვითონ ლევანდოვსკიმაც განაცხადა, რომ მას ბაიერნის დატოვება არ სურს.

მბაპემ თავის მომავალზე ისაუბრა

პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა პსჟ-სთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე რამდენიმეჯერ უარი განაცხადა:

– მინდა, რომ კონცენტრირებული ევროპის ჩემპიონატზე ვიყო და სხვა ყველა ფიქრი თავიდან მოვიშორო, თუმცა, ბუნებრივია, გადაწყვეტილების მიღება მომიწევს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 ივნისისათვის

ვერძი – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბიოლოგიის გაკვეთილზე მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– აბა, შეგიძლია მიპასუხო, ბავშვობაში გოგონები რატომ არიან ბიჭებზე მაღლები?

– ბიჭებს კვერცხები ექაჩება ქვევით.

– მაშინ რატომაა, რომ მერე მამაკაცები ქალებზე მაღლები ხდებიან?

– იმიტომ, რომ ამ დროისთვის გოგოებს ძუძუები ეზრდებათ, ისინი კი ბიჭების კვერცხებზე უფრო მძიმეა...

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– შეგიძლია ამიხსნა, რატომ ჩუქნით მამაკაცები ქალებს იშვიათად ყვავილებს?

– რატომ და იმიტომ, რომ თქვენ კაცებს საერთოდ არ ჩუქნით ლუდს!

●●●

ცოლი სარკის წინ საკუთარ თავს აკვირდება და მერე ქმარს ეუბნება:

– მგონი, საშინლად გამოვიყურები. იქნებ რაიმე ქათინაური მაინც მითხრა?

– შესანიშნავი მხედველობა გაქვს!

●●●

სამზარეულოდან გამოსულ უკმაყოფილო შვილს მამა ეკითხება:

– რა მოხდა, შვილო, რატომ გაქვს უკმაყოფილო სახე?

– ახლახან შენს ცოლთან სკანდალი მქონდა!

●●●

მამაკაცი აფთიაქში გამყიდველს ეუბნება:

– იცით, რაშია საქმე? წამლის მთლიანი სახელი დამავიწყდა, მაგრამ მის სახელწოდებაში არის ასეთი რამ: „ძვირფასო, საიდან უნდა ვიცოდე, სად შეინახე შენი ფენი“...

– იბუპროფენი?

– დიახ! დიახ! ეგ არის!

●●●

სამსახურიდან სახლში დაბრუნებული ქმარი ცოლს ეკითხება:

– აბა, ძვირფასო, დღეს რა მომიმზადე?

ცოლი სკამზე შეხტა და უპასუხა:

– სიმღერა!

კულტურის მინისტრი ესტრადის წარმომადგენლებს შეხვდა

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ქართული ესტრადის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შეხვდა და მათ სამინისტროს მხარდაჭერილ პროექტებში მონაწილეობა შესთავაზა.

მინისტრმა სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრა იმ სიახლეებზე, რომლებსაც მისი უწყება ხელოვანებს სთავაზობს. საუბარი შეეხო მინისტრის 3 ივნისის ბრძანებას კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და პროექტების ხელშეწყობის პირობებისა და დაფინანსების წესის შესახებ და აღნიშნა, რომ სამინისტროს პრიორიტეტი არის კულტურაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება, განსაკუთრებით რეგიონებში.

მინისტრმა მუსიკოსებს მოუწოდა, მონაწილეობა მიიღონ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში და დაგეგმონ ტურნეები რეგიონებში, რაც, ერთი მხრივ, გაზრდის ხელმისაწვდომობას კულტურაზე, ხოლო მეორე მხრივ პანდემიით ხელოვანებისათვის მიყენებული ზიანის შემცირებას მოემსახურება, რაც ასევე სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, რა დროსაც მინისტრმა შეხვედრის მონაწილეების კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა, მათგან სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ მიიღო ინფორმაცია და სამინისტროს მხრიდან მხარდაჭერა აღუთქვა.

თეა წულუკიანთან შეხვედრაზე იმყოფებოდნენ მომღერლები, კომპოზიტორები, მუსიკოსები ნუგზარ კვაშალი, ზურაბ კობეშავიძე, ნუგზარ ერგემლიძე, ირმა სოხაძე, მაია ჯაბუა, მანანა თოდაძე, ნუცა ჯანელიძე, კაკო ვაშალომიძე...

რომა რცხილაძე: „სად არის ჩემი ფული?!“

მუსიკოსი, მომღერალი და კომპოზიტორი რომა რცხილაძე მიიჩნევს, რომ ხელოვან ხალხს გაფრთხილება სჭირდება. მან თავის კოლეგებთან ერთად ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა. თანამოაზრეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მიმართონ პარლამენტს საავტორო უფლებების დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

400-მდე ხელოვანი აცხადებს, რომ მათი ნაწარმოებების საჯარო შესრულებისას, ხშირ შემთხვევაში, ჰონორარების განაწილების პრინციპი ირღვევა. ისინი პარლამენტის კულტურის კომიტეტისგან მოითხოვენ კონკრეტული კანონების გადახედვას.

რომა რცხილაძე, მომღერალი:

– სად არის ჩემი ფული?! ჩვენ, ხელოვან ხალხს, გაფრთხილება გვჭირდება. კულტურას თუ არ მივხედეთ, ვერანაირი პოლიტიკა, მედიცინა, სპორტი და განათლება ვერ მიაღწევს იმ სიმაღლეებს, რაც ჩვენ გვეკადრება.

ზუკა ხუციშვილი, მომღერალი:

– კონკრეტული კანონები, რომლებიც დღეს არსებობს, იმდენად ბუნდოვანია, რომ ფაქტობრივად არარსებულია. ჩვენი თხოვნაა, რომ კანონმდებლობის დონეზე ეს კანონები, რაც საავტორო უფლებებსა და საავტორო უფლებებით ანაზღაურებას ეხება, გახდეს კონკრეტული, გამჭვირვალე და ავიდეს საკანონმდებლო დონეზე.



ქეთათო პოპიაშვილი, მომღერალი:

– მიხარია, რომ ჩემს მრავალწლიან აქტივობას საავტორო სფეროში უკვალოდ არ ჩაუვლია და, როგორც იქნა, ავტორები საჯაროდ ალაპარაკდნენ საკუთარ უფლებებზე, რადგან, პირველ ყოვლისა, ჩვენთვის, ავტორებისთვისაა საკუთარი უფლების ცოდნა აუცილებელი და ის, რაც კანონით რეგულირდება, უნდა აისახებოდეს პრაქტიკაზეც.

ჩემი სხვადასხვა ქეისით არაერთი პრეცედენტი შეიქმნა საავტორო უფლებების პრაქტიკაში, რაც სხვა ავტორებისთვის ზურგის ქარის როლს შეასრულებს.

ნინო მიქიაშვილი: „საგანძურის აღმწერ კომისიაში ჩართვას სასამართლოს აღარ ვთხოვ!“

ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი საგანძურის აღმწერ კომისიაში ჩართვას სასამართლოს აღარ სთხოვს:

– საგანძურის აღმწერ კომისიაში ჩართვას სასამართლოს აღარ ვთხოვ!

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილმა სარჩელის უკან გამოხმობის შესახებ ჩემი განცხადება დააკმაყოფილა. ვინაიდან არაერთ დანაშაულში მხილებული ეროვნული მუზეუმის დირექცია ვეღარ წყვეტს, ვინ იქნება ხელოვნების მუზეუმის საგანძურის აღმწერ კომისიაში და ვინ – არა, მე იურიდიულ ნიუანსებზე კონსულტაცია გავიარე მამუკა ნოზაძესთან, რომელთან ერთადაც მრავალი წელია ვიცავ კულტურულ მემკვიდრეობას და სარჩელის უკან გამოხმობის თაობაზე სასამართლოს განცხადებით მივმართე. ველოდებოდი პასუხს, რომ ეს ამბავი თქვენთვის მეცნობებინა.

10 ივნისით დათარიღებული პასუხი ფოსტით სახლში მოგებით მივიღებ. მოგვიანებით მათ განცხადებით მივმართავ და პასუხს დაველოდები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. პოპულარული მუსიკალური საესტრადო ნაწარმოები, სიმღერა; 2. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 3. ავტოდრომი იტალიაში; 4. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 5. პატარა კაფე, სასაუზმე გერმანიაში; 6. ჩეხი მევიოლინე მამაკაცი; 8. ქართველი მეცენატი, ქველმოქმედი; 10. მსხვილი საკარმიდამო მამულის სახელწოდება შუა საუკუნეების ევროპაში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 14. ქართული რადიო; 15. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 16. გამარტივებული ნახაზი.

თარაზულად: 1. უნგრელი პრეზიდენტი; 4. ფინეთის დედაქალაქი; 7. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია; 9. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 12. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 17. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 18. ცოდვათა მიტევების სიგელი ძველად კათოლიკურ ეკლესიაში; 19. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 20. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა